ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2013 №257 (6258) ფასი: 30 თეთრი

თეა წულუკიანი: „არ ვიცი, რა კითხვები ექნება სააკაშვილთან პროკურატურას“

გვ.6

რატომ წავიდნენ ევროპაში უგულავა და სააკაშვილი

რას ნანობს პრეზიდენტი

გვ.3

ვინ გახდება უშიშროების საბჭოს მდივანი

გვ.3

ხათუნა ლაგაზიძე და ირინა იმერლიშვილი შეთავაზებას უარყოფენ

ნანა დევდარიანი: „არჩევნებში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ნაციონალებმა მეორე ადგილი აიღეს“

გვ.2

კოჰაბიტაცია კი არ დამთავრდა, არამედ სიმბიოზში ვადაიზარდა

გიორგი გუგავა: „არჩევნების გაყალბებას ნაციონალებსა და ოცნებას ცხვირში ამოვადენთ!“

გვ.5

მაია ფანჯიკიძე: „საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა უნდა მოახერხოს“

გვ.2

ჯონდი ბაღათურია: „მოსახლეობის 25%-მა დაუჭირა მხარი ხელისუფლების კანდიდატს“

გვ.4

დავით ნარმანია: „სააკაშვილმა ძალიან ბევრი ფული გამოიყენა და ბიუჯეტის ხარჯზე ბევრი იარა“

გვ.5

ISSN 1987-9385

2 მიხეილ სააკაშვილმა პოლიციის შესახებ კანონს ხელი მოაწერა

7 არჩევნებზე მარკირების პროცედურა დასახვეწია

6 როგორი პიარტექნოლოგიები იყო გამოყენებული არჩევნებზე

7 მარგველაშვილის ადმინისტრაციის უფროსად მისი ყოფილი ცოლისძმა ინიშნება

ნანა დევდარიანი: „არჩევნებში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ნაციონალებმა მეორე ადგილი აიღეს“

კოჰაბიტაცია კი არ დამთავრდა, არამედ სიმბიოზში გადაიზარდა

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

— ჩაიარა საპრეზიდენტო არჩევნებმა, რა შედეგსაც ველოდით და ვვარაუდობდით, სწორედ ის შედეგი დაიდო. როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის, შეფასებები?

— ჯერ ერთი, ძალიან უცნაურად გამოიყურება შედეგები. ციფრები ზუსტად ისე დაჯდა, როგორც პრემიერ-მინისტრი ამბობდა. ასეთი გულთმისნობა ძალიან ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, რომ სოციოლოგიური კვლევები სრულიად განსხვავებულ შედეგებს აჩვენებდა. მე აღვნიშნე თავის დროზე, როდესაც მან შეხვედრაზე გაახმიანა, არანაკლებ 60%-ისა, რომ ამას ძალიან ბევრგან, ადგილებზე მიიღებდნენ როგორც მითითებას.

— ჩათვალეს, რომ ეს იყო პრემიერის შეკვეთა?

— ასეც გამოვიდა. კი ამბობენ, რომ ძალიან კარგი, სამართლიანი და ევროპული არჩევნები იყოო, მაგრამ სინამდვილეში ადგილებზე იყო დარღვევები და ამის შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა. იყო უბნები, საიდანაც უბრალოდ გააძევეს დამკვირვებლები. 8 საათზე, როგორც კი დაიხურა უბანი და ხმის დათვლის პროცედურები დაიწყო, გააძევეს დამკვირვებლები. ამის გარდა, ძალიან საეჭვოა ის მაღალი მაჩვენებელი, რომელსაც აფიქსირებდნენ უბნებზე. მიუხედავად იმისა, რომ 46%-ია სულ გამოცხადება, როგორც ჩანს, ამდენიც არ იყო. მე დღის განმავლობაში რამდენიმე უბანზე ვიყავი, მაინტერესებდა ამომრჩევლის აქტივობა და კანტიკუნტად იყო ხალხი. სხვათა შორის, ეს დაბალი აქტივობაც, ვფიქრობ, პრემიერის განცხადების შედეგია. იმდენად დაჟინებით იყო ნათქვამი, რომ 60%-ზე ნაკლები არ უნდა მიიღოსო, რომ ბევრი პროტესტის ნიშნად აღარ გავიდა არჩევნებზე.

— რაც შეეხება ნაციონალების 21%-ს?

— ის 20 თუ 21%, რასაც აჩვენებენ, ეს არის წარმოუდგენელი ციფრი. გამოდის, რომ ყველაფერი ის, რაც 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, ამ ყველაფრის დაბრუნებას ხმა მისცა ყოველმა მეხუთე ადამიანმა. ყოველ შემთხვევაში, თეორიულად ასე გამოიყურება, რაც არის აბსურდი. სინამდვილეში აქ საქმე არის ცოტა სხვანაირად, ის, რომ ნაციონალებმა საკუთარი ამომრჩევლის მობილიზაცია შეძლეს და მათ არავინ პრობლემას არ უქმნიდა. აი, ამიტომ გამოვიდა ეს 20%. თუმცა სხვა თვალით შევხედოთ. თუ ჩვენ შევხედავთ ერთი წლის წინანდელ არჩევნებს, იქ ნაციონალებს 40% ჰქონდათ, ხომ? ახლა ორჯერ ნაკლებია... თუმცა ვიმეორებ, მე არც იმ 40%-ის მჯერა და არც დღევანდელი 21%-ის.

— თვლით, რომ ორივე გაყალბებულია?

— არა, ერთი მხრივ, მათ მოახერხეს მობილიზაცია, მეორე მხრივ, დანარჩენმა ამომრჩეველმაც პასიურობა გამოიჩინა და „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, რა თქმა უნდა, იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე წესით უნდა მიეღო. არც ერთი კვლევა ამხელა შედეგს არ აჩვენებდა. რატომ ვამბობ ამ ყველაფერს, ივანიშვილი არის ავტორიტეტი ხომ? თუ ივანიშვილმა 53%-ზე მეტი ვერ მიიღო საპარლამენტო არჩევნებში, ახლა როგორ შეიძლება მარგველაშვილს მიეღო 62%? აღარაფერს ვამბობ იმ დაუწერელ კანონზე, რომ როდესაც პოლიტიკური ძალა მოდის ხელისუფლებაში, პირველი წლის განმავლობაში მისი რეიტინგი ეცემა და არა მატულობს.

— ჩვენ თავიდანვე ვნახეთ, რომ პრემიერი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მეორე ტურს და საუბრობდა 60%-ზე...

— არავითარ შემთხვევაშიო. დიახ, მათი ამოცანა იყო, რომ არ უნდა დავუშვათ მეორე ტური და რატომ არა? რა არის ამაში ასეთი?

— პრემიერმა განაცხადა, რომ მეორე ტურის შემთხვევაში მე ჩავთვლიდი, რომ ხალხი უმადურიაო...

— ჩვენ გვყავდა ხელისუფლება, რომელმაც 2012 წლის პირველი ოქტომბრის მერე იძახა, რომ უმადურები ხართ თქვენ, რომ ისევ ჩვენ არ აგვირჩიეთო. ეს არის ძალიან ცუდი ტონი, როცა საკუთარ ხალხს უმადურს უძახი. იმის მაგივრად, რომ დაფიქრდე, რაშია საქმე? რითაა ეს ხალხი უკმაყოფილო?

— რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მან მიიღო 10% და აღიარა არჩევნების შედეგები, თუმცა თავიდან სერიოზულად აპროტესტებდა ამ ყველაფერს...

— სინამდვილეში საქმე სხვაგვარად არის. მიუხედავად იმისა, რომ ორი ძალიან სერიოზული რესურსების მქონე ძალა იბრძოდა პირველი ადგილისთვის. ერთსაც და მეორესაც, დაწყებული მატერიალურიდან და დასრულებული ადმინისტრაციული და სხვა რესურსები აქვთ შეუზღუდავი და აი, ამ სიტუაციაში ბურჯანაძემ მაინც აიღო 11%. აი ეს არის აქ მთავარი, რომ ასეთი ორი ძალის დაპირისპირებაში, მან მაინც შეძლო, რომ ეს პროცენტები მოეპოვებინა. ახლა რაც შეეხება აღიარებას, მან აღიარა, რომ არჩევნები შედგა, თორემ არც მიულოცია და არც ის უღიარებია, რომ ეს პროცენტები რეალურად მიაჩნია. უბრალოდ, მუდმივად ცდილობენ, რომ ბურჯანაძეს მიაწებონ ქუჩის და რადიკალური ოპოზიციის სტატუსი. ამას ჯერ 2008 წლიდან ნაციონალური მოძრაობა ცდილობდა, ამხელა კამპანიები ჰქონდა გაჩაღებული და ახლა ახალი პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერიც ცდილობდნენ, რომ ასე ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამ ფონზე, ამ იარლიყს ის არანაირად არ მიიღებდა, ეს ლოგიკურია. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი სასტარტო განაცხადია ბურჯანაძისთვის.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მისი მხრიდან შეცდომა იქნებოდა, ქუჩაში რომ გასულიყო?

— ამ ეტაპზე, რა თქმა უნდა, ეს ასე იქნებოდა. ის დაფიქსირდა, როგორც სერიოზული კანდიდატი და კიდევ ვიმეორებ, ასეთი ორი დიდი ძალის ფონზე, მან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ასე რომ, ამ ვითარებაში ქუჩაში გასვლა არ ივარგებდა, უბრალოდ, არანაირი აუცილებლობა ამისი არ არის.

— ალბათ არც შედეგის მომტანი არ იქნებოდა...

— მოდით ასე შევხედოთ პროცესს, პრინციპში, ყველა კანდიდატი იბრძვის პირველი ადგილისთვის. ბურჯანაძეც იბრძოდა პირველი ადგილისთვის. ამ შემთხვევაში ყველაზე ცუდი ის კი არ მოხდა, რომ ბურჯანაძე პირველ ადგილზე არ გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მას მართლაც კარგი პროგრამა ჰქონდა წარმოდგენილი. ყველაზე ცუდი მოხდა ის, რომ მეორეზე ნაციონალები გავიდნენ. აი, ეს არის ყველაზე ცუდი. ამაში ძნელია ვერ დაინახო ქართული ოცნების სერიოზული წვლილი.

— რადგან ბურჯანაძეზე ვსაუბრობთ, აქვე დავით თევზაძის განცხადებების შესახებ მინდა რომ გკითხოთ. არჩევნებამდე ორი დღით ადრე მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა და ბევრმა ეს ბურჯანაძის საწინააღმდეგო კომპრომატად ჩათვალა. როგორ ფიქრობთ, ეს იყო შეკვეთილი ინტერვიუ თუ უბრალოდ მან ახლა გადაწყვიტა ალაპარაკებულიყო?

— რა კომპრომატია ახლა, ვიღაცამ დარეკა, არ მახსოვს, ვინ დარეკაო... არ ვიცი, მე დათო თევზაძეს კარგად ვიცნობ და არ მინდა ვაკადრო, რომ ვიღაცამ შეუკვეთა. შეიძლება ის უბრალოდ იხსენებდა ინტერვიუში იმდროინდელ მოვლენებს და ეს კარგად გამოიყენეს. მე ამას უფრო ვიფიქრებ. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რომ დავით თევზაძე არ არის მოუბარი ადამიანი, ძალიან ძნელია აალაპარაკო. ათი წელი რაც არ გახსენებია, მაინცდამაინც არჩევნებამდე სამი დღით ადრე რატომ გაახსენდა, აი, ამას ვერ ვხსნი. თან მეორეც არის, ძალიან საეჭვოდ გამოიყურება ის, რომ თუ ხელისუფლებაში გაიცვალა აფხაზეთი, ხუთი წლის შემდეგ, მხოლოდ 2008 წლის აგვისტოში მოხდა ის, რაც მოხდა. სხვათა შორის, ბურჯანაძე რომ აღარ იყო ხელისუფლებაში მაშინ.

— ამით რისი თქმა გსურთ?

— იმის, რომ თუ ასეთი მოლაპარაკება ვინმეს შორის არსებობდა, როგორც ჩანს, ბურჯანაძის ფაქტორი ხელისშემშლელი იყო, რაკი ეს მოხდა მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ. ორია ცოცხალიო, რომ ამბობს თევზაძე, ორია ცოცხალი კი არა, პირველი პირი, ვინც იყო მთელი 9 წელიწადი და მხოლოდ გუშინწინ დაუმთავრდა პრეზიდენტობა, სწორედ იმასთან არის ეს ყველაფერი გასარკვევი.

— რაც შეეხება ამომრჩევლის პასიურობას საპრეზიდენტო არჩევნებზე, თქვენ ფიქრობთ, რომ იმედგაცრუებაა ამის მიზეზი? ცოტაა 45%...

— ძალიან ცოტაა სინამდვილეში. ნაციონალებმა გააუქმეს მაშინ ის მოთხოვნა, რომ თუ 50+1% მოვა, მაშინ ითვლება არჩევნები ჩატარებულად. ეს კანონი დღესაც რომ მოქმედებდეს, არჩევნები შემდგარად ვერ ჩაითვლებოდა. ძალიან დაბალია. რა თქმა უნდა, ეს არის იმედგაცრუებაც, რა თქმა უნდა, ეს არის ის მკაცრი მოთხოვნა პრემიერის მხრიდან, რომ მე, როგორც მინდა, ისე უნდა მისცეთ ხმა, თორემ ენთუზიაზმს დავკარგავ და ასეთ შემთხვევაში რა იცით? ე.ი. ჩემს აზრს და ჩემს მოთხოვნას არავითარი მოთხოვნა არა აქვს და რაკი არა აქვს, ის არ მიდის არჩევნებზე.

— სხვათა შორის, მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ მათ აწყობდათ კიდეც, რომ არ ყოფილიყო მაღალი აქტივობა, რადგან მათთვის სასურველი შედეგი ამ შემთხვევაში უფრო დაიდებოდა. ასეა?

— ადმინისტრაციული რესურსი და სახელმწიფო მანქანა ისეა მოწყობილი, რომ მას ბევრი რამით შეუძლია მანიპულირება. ასე რომ ბევრი იქნებოდა, იმ ბევრით მოხდებოდა მანიპულირება, ცოტა იყო და იმ ცოტათი მოხდა. უბრალოდ ვიმეორებ, მთელი ამ სიტუაციიდან, ყველაზე ცუდი არის ის, რაც იწვევს ადამიანებში აღშფოთებას, რომ მეორე ადგილზე წარმოდგენილია ნაციონალური მოძრაობა.

— ამიტომაც გვესმის მათი ამაყი განცხადებები, რომ მეორე ძალაა ქვეყანაში, რომ ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა ხმა მათ მისცა, რომ მოძლიერდებიან და კვლავ დაბრუნდებიან... რამდენად არის მართლაც ამის საფრთხე და რა პროცესებს ველით საკანონმდებლო ორგანოში?

— აი, სწორედ ამაზე ვლაპარაკობდი მე ყოველთვის. რომ ეს საფრთხე არის და ნებსით თუ უნებლიეთ ამას დღევანდელი მმართველი ძალა ხელს უწყობს. ეს ძალიან ცუდია, რომ ხელს უწყობს, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ მათი ეს ოპტიმისტური პროგნოზი გამართლდება. არ მგონია ასე, იმიტომ, რომ ეს არის პარტია, რომელმაც საერთოდ დაასრულა თავისი არსებობა. გარდაცვლილი შეიძლება ძალიან დიდხანს არ დამარხო, მაგრამ ამით ის ვერ გაცოცხლდება.

— სააკაშვილიც საკმაოდ შეშინებული ჩანს, არ აღიარებს, მაგრამ დამფრთხალია აშკარად...

— ასე ვერ გაგრძელდება, ეს იყო სიმახინჯე. აბა ვნახოთ ახლა, რასაც ამბობდა მარგველაშვილი — 28-ში კოჰაბიტაციას დავასრულებო, ხომ? დღეს 30-ია და როგორ ატყობთ, დასრულებულია კოჰაბიტაცია?! მე მგონი, უფრო რთულ ფორმებში შევდივართ. ეს კოჰაბიტაცია გადაიზარდა მჭიდრო სიმბიოზში.

— რას ველოდებით სამომავლოდ? ასე ტკბილად გააგრძელებენ თანამშრომლობას თუ შეიცვლება სიტუაცია?

— ის 10-11%, რაც ბურჯანაძეს დაუფიქსირეს, თუმცა, ჩემი აზრით, ციფრი სხვა უნდა ყოფილიყო, აი, ეს არის იმის წინა პირობა, რომ შეიქმნება პოლიტიკური ცენტრი, რომლის გავლენაც გაიზრდება. არც ისე დიდი ხნის შემდეგ ისევ არის არჩევნები.

— დიახ, ადგილობრივი არჩევნებიც ახლოვდება და როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნებზე სხვა სურათი დაიდება?

— მე ვფიქრობ, რომ სხვა სურათი დაიდება, იმიტომ, რომ ხალხმა ძალიან კარგად დაინახა ყველაფერი. პრაქტიკულად რისი მოწმენი ვართ ჩვენ, მოხდა ის, რის შესახებაც მუდმივად აფრთხილებდა ბურჯანაძე ხელისუფლებას. მე ისევ ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მონდომებულები იყვნენ, იმ პროცენტების მინიმუმი რაც დაუწერეს, ამაზე ნაკლებიც კი ვერ შეძლეს. ეს ნიშნავს, რომ ბურჯანაძეს ჰყავს ძალიან მოტივირებული ამომრჩეველი, რომელიც მივიდა და მიცა ხმა. იქ რა მანიპულაციებიც მოხდა, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ვვარაუდობ, რომ ახალი პოლიტიკური ცენტრია და ის გაფართოვდება და გაძლიერდება. ხალხის უკმაყოფილება არსად არ წასულა. როგორი ციფრებიც არ უნდა დაწერონ და როგორც არ უნდა მოსწონდეთ საკუთარი შედეგები, ხალხში უკმაყოფილება არის და ის კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მოვლენები ისე განვითარდება, როგორც დღემდე ვითარდებოდა და სხვა პირი ამას არ უჩანს.

— მთელი ერი ახალი პრემიერის მოლოდინშია, უამრავი ქარაგმა თუ მინიშნება მოვისმინეთ, მაგრამ საბოლოოდ არ გვაღიარსეს ვინაობის გამხელა, თუ ვინ არის ის. ახალი პრემიერის მოსვლის შემდეგაც ალბათ სხვა სურათი დაიდება. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს ის?

— არ ვიცი, მე ნამდვილად ვერ დავიწყებ მკითხაობას, იმიტომ, რომ პრემიერი სულ მუდმივად გვპირდება რაღაცა გასაოცარს. ვნახოთ, რამდენიმე დღეში რამდენად გავოცდებით და რამდენად გაგვიხარდება, ამას დავინახავთ.

— რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, დარჩება ეს მოთხოვნა ძალაში?

— ხალხში ეს მოთხოვნა არის. უბრალოდ ორ პოლიტიკურ ძალას, რომელიც კარგად არის ერთმანეთთან ხმაშეწყობილი, მათ არ უნდათ ეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად პრინციპული იქნება ხალხის მხრიდან ეს მოთხოვნა. არ შეიძლება სულ მუდმივად უარყოფდე და უგულებელყოფდე საკუთარი ხალხის მოთხოვნებს.

— არის იმის შანსი, რომ ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნებიც და თუ დაუშვებს ამას ხელისუფლება?

— ამ წუთში ეს არარეალურად გამოიყურება იმიტომ, რომ ძირითად პოლიტიკურ ძალებს ნამდვილად არა აქვთ ამის სურვილი, მაგრამ დიდწილად ეს დამოკიდებულია იმაზეც, პარლამენტს გარეთ როგორ განვითარდება მოვლენები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რატომ წავიდნენ ევროპაში უგულავა და სააკაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

28 ოქტომბრის ღამეს ჯერაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვიდეო-მიმართვა გაავრცელა. ამ ვიდეო-მიმართვის გამო, ერთ-ერთ არხზე თურქული სერიალი არ გავიდა. ამის გამო სააკაშვილმა ქართველი ქალების რისხვა დაიმსახურა. მიმართვის დასრულების შემდეგ ქალაქში ხმა გავარდა, სააკაშვილი უგულავასთან ერთად ქვეყნიდან გაიქცაო.

ეს ჭორი იმ კადრებს მოჰყვა, რომელიც „მაესტრომ“ აჩვენა. „მაესტროს“ კამერებმა დააფიქსირეს, როგორ მივიდა სააკაშვილი თბილისის აეროპორტში, სადაც მას თბილისის მერი გიგი უგულავა დახვდა. რა მიმართულებით გაფრინდნენ მაღალი და ტანადი, უცნობი დარჩა.

ატეხილი ჩოჩქოლის შემდეგ პრეზიდენტისა და თბილისის მერის პრესსამსახურებმა გაავრცელეს განცხადება. გვაუწყეს, სააკაშვილის და უგულავას გაფრენის შესახებ 29 ოქტომბერს გესაუბრებითო. დანაპირები შეასრულეს. გუშინ დილით გვამცნეს, მერი და პრეზიდენტი ბრიუსელში ჩაფრინდნენო.

ევროპაში მოღვაწე ქართველ ჟურნალისტს გიორგი ფოფხაძეს კი ამ ვიზიტზე სულ სხვა ინფორმაცია აქვს. მისი თქმით, სააკაშვილი კეზერაშვილის ადვოკატის სანახავად ჩამოვიდა, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა პირი არ მოაღოს.

გაზეთ „ალიასთან“ საუბრისას გიორგი ფოფხაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა პარიზში, კეზერაშვილის ადვოკატთან გაიპარნენ.

– მე როგორც გავიგე, სააკაშვილი და უგულავა პარიზში არიან, კეზერაშვილის ადვოკატთან, რომ კეზერაშვილმა პირი არ დააღოს და არ ალაპარაკდეს. სააკაშვილი იმდენად „ვრედნია“, შესაძლებლად მიმაჩნია, ბრიუსელშიც ჩამოვიდეს და თავის ლობისტებს შეხვდეს. ესენი ახლა დასხდებიან და ერთად დაგეგმავენ რაიმე პროვოკაციას, კაცი უკვე გვემუქრება, ჯოჯოხეთს მოგიწყობთო. ეს ამბავი ყურადღებამისაქცევია, ძალიან ნუ დავიმშვიდებთ თავს. მე ხშირად ვეუბნები კოალიციის წევრებს, რომ ეს ადამიანი ძალიან საშიშია-თქო და ვერაფერი შევასმინე. მეუბნებოდნენ, – აი, მორჩება 27 ოქტომბერს არჩევნები და ყველაფერი დამთავრდებაო. ამ ადამიანმა ჩვენი უმოქმედობით მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი „გაიპრავა“, – განაცხადა ფოფხაძემ.

ერის ნაწილი კი ფიქრობს, რომ სააკაშვილი გაიქცა და ის სამშობლოში აღარ დაბრუნდება. ამბობენ, რომ სააკაშვილს დაპატიმრების პანიკური შიში აქვს. მისი გავლენიანი მეგობრები ამას ალბათ არ დაუშვებენ, თუმცა არც ის არის გამორიცხული სააკაშვილს გამოძიების კითხვებზე პასუხების გაცემამ მოუწიოს.

საქართველოს პრემიერმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ სააკაშვილი შესაძლოა დაიკითხოს. უახლოეს მომავალში იგეგმება ჟვანიას საქმის გახსნაც. ამბობენ, რომ პრეზიდენტს ამ საქმეზეც მოუწევს განმარტებების გაკეთება.

რა და როგორ იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. არ არის გამორიცხული, მეოცნებეებმა სააკაშვილს ხელშეუხებლობის გარანტია მისცენ. სადაც იმას ამბობენ, რომ ნაციონალების გადარჩენა ქართულ დემოკრატიას სჭირდებაო, იქ სააკაშვილის გადარჩენაზე ვერაფერს იტყვიან?!

გაურკვეველი მიმართულებით გაფრენამდე, სააკაშვილმა უკანასკნელად მიმართა ქართველ ხალხს პრეზიდენტის სასახლიდან. ამ მიმართვის დროს, პრეზიდენტი სულ თაფლად და მურაბად იყო ნაქცევი. ის საქართველოს სიყვარულშიც გამოუტყდა. ეტყობა, ზედმეტი სიყვარულით დაარბევინა მრავალჯერ თავის ზონდერებს ხალხი.

– მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ თქვენგანს, ჩვენი საყვარელი საქართველოს მოქალაქეებს იმისთვის, რომ ორჯერ მომეცით შესაძლებლობა, მემსახურა ჩემი ქვეყნისთვის პრეზიდენტის რანგში. პატივთა შორის, არაფერია იმაზე დიდი, ვიდრე ემსახურო საკუთარ ქვეყანას.

შესაძლებლობათა შორის, არაფერია იმაზე დიდი, ვიდრე გქონდეს შესაძლებლობა დაეხმარო სამშობლოს წინსვლასა და განვითარებაში. მინდა მადლობა გითხრათ და თქვენთან ერთად გავიხსენო, თუ რას მივაღწიეთ ერთად და რა არის ჯერ კიდევ მისაღწევი; მინდა გავიხსენო გზა, რომელიც ჩვენ დავასრულეთ და გზა, რომელიც ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს; ის დაბრკოლებები, რომლებიც ერთად დავძლიეთ და პრობლემები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას კვლავაც გადასჭრელი აქვს, – თაფლად დაიღვარა სააკაშვილი.

მისი თქმით, ამ ქვეყნის მოქალაქეებს გასაყოფი არაფერი გვაქვს. თურმე ყველანი საქართველოს შვილები ვართ და გვიყვარს ჩვენი ქვეყანა.

– თუმცა საკმარისი არ არის სუფრასთან სადღეგრძელოების წარმოთქმა. ჩვენ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, რას ნიშნავს იყო ქართველი და რა ვალდებულებას გვაკისრებს სამშობლოს სიყვარული.

მას შემდეგ, რაც ზრდასრულ ასაკს მივაღწიე, დავიწყე ქართველობის ჩემეული ცნების ძიება, რას ნიშნავს ეკუთვნოდე ამ ერს; მინდოდა მომეძებნა ეროვნული იდენტურობის ისეთი განმარტება, რომელიც, ერთი მხრივ, ერთ მუშტად შეკრავდა ჩვენს ასე ხშირად დაქსაქსულ და ასე დაქუცმაცებულ ერს, ხოლო, მეორე მხრივ, იქნებოდა იმდენად პროგრესული, რომ გარდაუვალი გახდებოდა ჩვენს ოჯახში – თავისუფალი ერების ევროპულ ოჯახში დაბრუნება.

ჩემი თაობის ყველა წარმომადგენელი დაღდასმულია სამოქალაქო ომის შედეგებით, ზიზღისა და განცალკევების პერიოდით, როდესაც ყველა ერთმანეთს უპირისპირდებოდა; მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებლის ერი, თამარ მეფის ერი, ილია ჭავჭავაძის ერი დადგა სრული განადგურების, თვითგანადგურების საშიშროების წინაშე ბრაზის, შეუწყნარებლობის, არაკომპეტენტურობისა და კორუფციის წყალობით.

ჩემი ძიება დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო წარუმატებლობის, სიბნელის ეპიცენტრში იყო; როდესაც ხალხი მზად იყო მოეკლა თავისი მეზობელი მხოლოდ იმიტომ, რომ მას სხვა ეთნიკური წარმომავლობა ჰქონდა; მზად იყო გაეძარცვა საკუთარი ბიძაშვილი მხოლოდ იმიტომ, რომ მან უკეთესი სამსახური იშოვა; ფიზიკურად გასწორებოდა ადამიანს განსხვავებული აზრის, ჩაცმულობის, ვარცხნილობისა თუ გამოხედვის გამო, – აღნიშნა სევდიანმა სააკაშვილმა.

ხატოვნად მოგვითხრო, თუ რატომ აღარ გააგრძელა ამერიკაში იურისტის კარიერა და საქართველოს გადასარჩენად დაბრუნდა სამშობლოში. გაგვახსენა ის დროც, როცა ნაცმოძი დააფუძნა.

– როდესაც ჩვენ დავაფუძნეთ ნაციონალური მოძრაობა, ამ ჩვენი პროექტის არსი, მიზანი და იდეა იყო სწორედ ის, რომ სიტყვისთვის „ნაციონალური“ მიგვეცა ახალი მნიშვნელობა და გამხდარიყო არა გათიშულობის, არამედ ერთიანობის სიმბოლო.

ჩვენს პესიმისტურად განწყობილ საზოგადოებაში საჭირო იყო პატრიოტული გრძნობისა და შეგნების აღორძინება, საჭირო იყო გაგვეღვივებინა ჩვენი საერთო მომავლის რწმენა და გაგვეღვიძებინა ჩვენი ქვეყნისა და საკუთარი თავის იმედი. მიუხედავად შეცდომებისა და ხარვეზებისა, ეს არის ის, რაც ბოლო წლებში ყველამ ერთად გავაკეთეთ. ჩვენ გავაღვიძეთ იმედი, ჩამოვაყალიბეთ პატრიოტიზმის ახალი ფორმა, დავიბრუნეთ დიდი ხნის წინ დაკარგული ეროვნული სიამაყე, რომელიც დაყოფის ნაცვლად, აერთიანებს, რომლის პირობებშიც, იმისთვის, რომ იამაყო საქართველოს მოქალაქეობით, იამაყო საკუთარი თავითა და სახელმწიფოთი, არც შენს გვარს აქვს მნიშვნელობა და არც რწმენას, – აღნიშნა სააკაშვილმა.

ამტკიცებს, რომ წინამორბედის ანუ შევარდნაძის კაბინეტში დამხვდა წყლის კასრი, რადგან წყალი ხშირად არ მოდიოდა, დამხვდა დენის გენერატორი, რადგან დენი ხშირად ითიშებოდა და კატა, რადგან იქაურობა ვირთხებითა და თაგვებით იყო სავსე.

თუ სააკაშვილს დაეჯერება, ამ კატის და გენერატორის დანახვაზე ნაციონალებს შეშინებიათ და წამით უნანიათ კიდეც, რომ საერთოდ მოვიდნენ ხელისუფლებაში.

– და ათი წლის შემდეგ, ახალი მინისტრები და ახალი პრეზიდენტი შედიან აბსოლუტურად განსხვავებულ შენობებსა და კაბინეტებში, მართავენ სრულიად სხვა სახელმწიფოს და იღებენ პასუხისმგებლობას აბსოლუტურად სხვა ინსტიტუტებზე. ამას ვერ უარყოფენ ნაციონალური მოძრაობის ან ჩემი პიროვნების ყველაზე დაუნდობელი კრიტიკოსებიც კი. ამას ვერც უარყოფენ და არც უნდა უარყონ, რადგან ეს არის საერთო საქმე, მთელი ჩვენი ერისა და ყოველი თქვენგანის საერთო მონაპოვარი. ეს ჩვენი საერთო სახლია, რომელიც ყველამ ერთად ავაშენეთ თითოეული მოქალაქისთვის, – სიამაყენარევი ხმით ამბობს პრეზიდენტი.

მიმავალმა პრეზიდენტმა ხალხს ბოდიშიც მოუხადა. ახლა მიხვდა, რომ შსს-ს და პროკურატურის მაღალჩინოსნებს ხანდახან ბრმად ენდობოდა. საინტერესოა, უნდობლობა მაშინ რატომ არ გაუჩნდა, როცა მთელი ქვეყანა მათ უკანონობაზე საუბრობდა. მაშინ არც შეიმჩნევდა. მაშინ ის პრეზიდენტის სკამზე მყარად და ამაყად იჯდა. ახლა კი მიდის და ბოდიშებს იხდის.

– ჩვენს გზაზე, რომელიც მიდიოდა პროგრესის, აყვავებისა და ევროპისკენ, გვქონდა შეცდომები, ვიყავით სულსწრაფები და ხშირად, ზედმეტად მკაცრებიც. მინდა ბოდიში მოვუხადო ყველას, ვინც უსამართლობისა და დამცირების მსხვერპლი გახდა. ვნანობ, რომ ხშირად, ზედმეტად ვენდობოდი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამდებობის პირებს. როგორც გითხარით, მე ვიყავი, ალბათ, ზედმეტად ჩქარი და მოუთმენელი და კეთილისმსურველები სიდინჯისკენ მომიწოდებდნენ ხოლმე. ჩვენი ქვეყნის სწრაფად რეფორმირების სურვილით, არ გავითვალისწინეთ იმის აუცილებლობა, რომ ჩვენი მოქმედება აგვეხსნა და შეგვეთანხმებინა მათთან, ვინც ეწინააღმდეგებოდა ამ ცვლილებებს და ამ რეფორმებთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. სასამართლოს რეფორმა იყო ძალიან ნელი, განათლების რეფორმა კი – არასაკმარისად სიღრმისეული. ყოველივე ამაზე მე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ.

თუმცა არასდროს მოვიხდი ბოდიშს იმისთვის, რომ მსურდა ხალხისთვის დამებრუნებინა სიამაყე და ძალაუფლება. მე არ მოვიხდი ბოდიშს იმისთვის, რომ გავანადგურე ორგანიზებული დანაშაული, ამოვძირკვე ელიტური კორუფცია და ავაშენე ახალი ქალაქები; მე არ მოვიხდი ბოდიშს იმისათვის, რომ მოვიარე ქვეყანა, რათა მსოფლიოს სამსჯავროზე გამეტანა ჩვენი საერთო საქმე – ჩვენი სამშობლოს დაცვა ძლიერი მტრებისგან. მე ყოველთვის ვიამაყებ იმით, რისი დასრულებაც ჩვენ ერთად შევძელით, – აღნიშნავს სააკაშვილი.

მიმართვის დასასრულს კი სრულიად საქართველოს სიყვარულში გამოუტყდა და ქედიც კი მოიდრიკა ერის წინაშე.

– ძვირფასო თანამემამულენო, როდესაც ჩვენ საქართველოს მმართველობა ჩავიბარეთ, საქართველოზე არსებობდა და მყარად ჰქონდა საფუძველი გამდგარი რამდენიმე, ძირითადად, დამპყრობლების მიერ შექმნილ მითს – ქართველები კარგები არიან ცეკვაში და სიმღერაში, სუფრასთან, რომ ეს ძალიან კორუმპირებული და კრიმინალური ხალხია; ვერასდროს ვერ გაერთიანდება და ორგანიზებას, მით უმეტეს ვერ შეძლებს სახელმწიფოს ორგანიზებას; სხვის ომში მაგრები არიან, საკუთარში მოღალატე და ლაჩრები; ჭკუა სხვა მხრივაც დიდად არ მოეკითხებათ.

ჩვენ ამ წლებში შევეცადეთ შეგვეცვალა საქართველო და ასევე შეგვეცვალა მასზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპები. ამასობაში, ჩვენ არა მხოლოდ საქართველო შეცვალეთ, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სამყარო. სერიოზული გავლენა მოვახდინეთ ბევრ სხვა ქვეყანაზე. მე ყოველთვის თქვენს გვერდით და თქვენთან ერთად ვიქნები, თუმცა სხვა შესაძლებლობებით და სხვა შენობიდან. რაზეც უარი არასდროს მითქვამს, არის ის, რომ ყოველთვის ვიქნები ჩვენი ამაყი ქვეყნის ამაყი მოქალაქე, ერთ-ერთი მრავალთაგანი თქვენ შორის, ჩემო დებო და ძმებო, ჩვენი საყვარელი საქართველოს შვილებო.

ამ დღეებში ფეისბუკზე და სხვა არხებითაც მადლობის უამრავ წერილს ვიღებდი ბევრი თქვენგანისგან, მაგრამ დღეს დადგა დღე, როდესაც კიდევ ერთხელ, საბოლოოდ, მინდა თქვენ გითხრათ მადლობა. უზომოდ მადლიერი ვარ თქვენი და ქედს ვიხრი თქვენ წინაშე! დაე, დღეგრძელი იყოს ჩვენი თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო!. – დაგვლოცა კიდევაც მიმავალმა პრეზიდენტმა.

ისე საინტერესოა, რა მიმართვას ჩაწერდა სააკაშვილი, საპრეზიდენტო არჩევნები დავით ბაქრაძეს რომ მოეგო?!

ვინ გახდება უშიშროების საბჭოს მდივანი

ხათუნა ლაგაზიძე და ირინა იმერლიშვილი შეთავაზებას უარყოფენ

შორენა მარსაგიშვილი

27 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული გიორგი მარგველაშვილი სულ მალე დაიწყებს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას. ახალ პრეზიდენტთან ერთად ქვეყანას ახალი პრემიერიც მოევლინება. მომავალი პრემიერის ვინაობას ბიძინა ივანიშვილი 2 ნოემბერს დაასახელებს, თუ კიდევ რაიმე არ შეიცვალა.

ივანიშვილის შემცვლელის დასახელების თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა. როგორც ამბობენ, ივანიშვილი მომავალი პრემიერის ვინაობას ამერიკასთან ათანხმებს და ეს პროცესი ამიტომაც გაჭიანურდა.

საზოგადოება და ექსპერტები კი რამდენიმე კანდიდატურაზე ჩამოდიან ფსონს. ამ თანამდებობის დაკავების ყველაზე მეტი შანსი დავით სერგეენკოსა და ირაკლი ღარიბაშვილს აქვთ. რამდენჯერმე გაიჟღერა ირაკლი ალასანიას გვარმაც. გვეუბნებიან, რომ მომავალი პრემიერი საზოგადოებისთვის სუპერმოულოდნელობა არ იქნება.

პრემიერის ცვლილებასთან ერთად, ცვლილებები მოხდება მინისტრთა კაბინეტში. ოცნების ლიდერები ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

შესარჩევია ახალი გუბერნატორებიც. თავიდან მეოცნებეები გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმებას აპირებდნენ. მერე მიხვდნენ, რომ ეს კარგი მოგონებაა რეგიონების გასაკონტროლებლად. ახლა ოცნებაში რწმუნებულების შესარჩევად დიდი ბაასი მიდის.

შესარჩევია უშიშროების საბჭოს მდივანიც. ამ პოსტს ჯერ ისევ გიგა ბოკერია იკავებს. ბოკერია, მოგეხსენებათ, რომ გიორგი მარგველაშვილის მეგობარია. ამის მიუხედავად, მას არავინ დატოვებს ამ პოსტზე და არც თავად აპირებს დარჩენას.

გუშინ მედიაში აქტიურად განიხილებოდა გიგა ბოკერიას შემცვლელის კანდიდატურები. გავრცელებული ინფორმაციით, ეს პოსტი შესაძლოა ირინა იმერლიშვილმა ან ხათუნა ლაგაზიძემ დიკავონ.

იმერლიშვილი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. „ქართული ოცნების“ კულუარებში ამ ინფორმაციას ადასტურებენ. თავად იმერლიშვილი კი სხვა რამეს ამბობს. ირინა იმერლიშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ის უშიშროების საბჭოს მდივნად ინიშნება.

მისი თქმით, მას უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე შეთავაზება ჯერ არ მიუღია.

– ქვეყანას ჰყავს მოქმედი უშიშროების საბჭო და მდივანი. მე ხვალ პარლამენტში გამოვცხადდები, როგორც იურისტი და პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. ვაგრძელებ მუშაობას ჩემს თანამდებობაზე. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობის შემოთავაზებას, ეს საკითხი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ჯერჯერობით დახურულია. ამ ეტაპზე ჩემთვის ეს თანამდებობა არავის შემოუთავაზებია და არც საუბარი ყოფილა. კვირის ბოლოს პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც მეც ვარ მიწვეული, როგორც „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, – აღნიშნა სააგენტო „ტელეგრაფთან“ საუბარში ირინა იმერლიშვილმა.

სხვათა შორის, იმერლიშვილი საქართველოში ერთადერთი ქალია, რომელსაც გენერლის ჩინი აქვს. პროფესიით ის ბიოლოგია.

გავრცელებულ ინფორმაციას ხათუნა ლაგაზიძეც უარყოფს. „პირველ რადიოსთან“ საუბრისას ექსპერტი ამბობს, რომ მსგავსი შემოთავაზება არ მიუღია და ასეც რომ იყოს, შეზღუდული ფუნქციების მქონე უშიშროების საბჭო მისთვის ნაკლებად საინტერესოა.

– არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა და არც ველი, იმიტომ, რომ გიორგი მარგველაშვილი არ მიცნობს იმდენად ახლოს, რომ რაიმე თანამდებობა შემომთავაზოს. გარდა ამისა, მე რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, მას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის კადრები ამ სფეროში. მეორე მხრივ, ჩემთვის ასე ფუნქცია შეზღუდული უშიშროების საბჭო ნაკლებად წარმოადგენს ინტერესის საგანს, – განაცხადა ხათუნა ლაგაზიძემ.

ჯონდი ბაღათურია: „მოსახლეობის 25%-მა დაუჭირა მხარი ხელისუფლების კანდიდატს“

შორენა გონგლაძე

საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩევლის დაბალი აქტივობა ხელისუფლების ასევე დაბალ რეიტინგზე მიანიშნებს. „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ არჩევნების შედეგები ხელისუფლების თავზე ღრუბლების დაგროვების მაჩვენებელია. ეს განცხადება ჯონდი ბაღათურიამ გუშინ „რეპორტიორის“ პრესკლუბში სტუმრობისას გააკეთა. მისი განცხადებით, არჩევნების შედეგები ხელისუფლებისთვის დამშვიდების მიზეზი არ უნდა გახდეს, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნებზე არ მივიდა.

– მოსახლეობის 46% მივიდა არჩევნებზე. 61%-მა ხმა მისცა მარგველაშვილს. ამას თუ მთელ მოსახლეობაზე გადავიტანთ, დაახლოებით 25%-მა დაუჭირა მხარი ხელისუფლების კანდიდატს. ეს დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი უნდა იყოს ხელისუფლებისთვის. ეს ღრუბლების დაგროვების მაჩვენებელია. მჯობნის მჯობი არ დაილევა. როგორც კი შეიქმნება სიცარიელე, გამოჩნდება ვინმე, რომელიც მოინდომებს კეთილშობილური მიზნით, როგორც ეს ივანიშვილის შემთხვევაში იყო, შექმნას ძლიერი ოპოზიცია, – განაცხადა ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერი ამბობს, რომ არჩევნებმა მშვიდად და ყოველგვარი ძალადობის გარეშე ჩაიარა. ბაღათურია ამის ორ მიზეზს ასახელებს და აცხადებს, რომ არჩევნების ამგვარად ჩატარება შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმატებული რეფორმებისა და პოლიციის დეპოლიტიზაციის შედეგია. არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებას ბაღათურია კიდევ ერთ მიზეზს – არატემპერამენტულ წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირებს. მისი განცხადებით, სახელისუფლებო კანდიდატს არ ჰყავდა რეალური კონკურენტი და, აქედან გამომდინარე, საარჩევნო გარემოც იყო არაკონკურენტული.– ის, რომ არჩევნებმა ძალადობის გარეშე ჩაიარა და, რომ არ გაყალბებულა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მივიღეთ სამართლიანი და საზოგადოებრივი განწყობების ადეკვატური შედეგები. ამის მაგალითად გავიხსენებ 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნებს, როცა ამ არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ფიგურალურად დაერქვა ბარბაროსთა გეგმა, რაც გულისხმობდა ოპოზიციის განადგურებას. ისეთი კანონმდებლობა იყო, რომ ოპოზიციამ საერთოდ ვერ გაიყვანა თავისი კანდიდატები, სამაგიეროდ, მშვიდად ჩაიარა, იმიტომ რომ ოპოზიციას ძალაც არ ჰქონდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია ამ უსამართლობისთვის. თუმცა 2006 წელს მშვიდად ჩატარებულ არჩევნებს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მოჰყვა, როცა იყო დაძაბულობა და ქვეყანამ სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე გაიარა, – განაცხადა ბაღათურიამ.

მარგველაშვილი პრეზიდენტის რანგში მთავრობის კანცელარიის მე-10 სართულზე იმუშავებს

„ქართული ოცნების“პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტის რანგში მუშაობას დროებით მთავრობის კანცელარიის მე-10 სართულზე შეუდგება. ადმინისტრაცია კი კანცელარიის მე-11 სართულზე განთავსდება.

მთავრობის კანცელარიის უფროსის მაია ცქიტიშვილის თქმით, გიორგი მარგველაშვილს სამუშაო ოთახი პრემიერ– მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაუთმო. მარგველაშვილი კანცელარიაში მანამ იქნება, სანამ ათონელის ქუჩაზე პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის სარემონტო სამუშაოები არ დასრულდება.

პრეზიდენტის ახალი რეზიდენცია სავარაუდოდ შემდეგი წლის გაზაფხულისთვის დასრულდება. ამ დრომდე კი უცნობია, თუ რა ფუქნციას შეიძენს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია.

მედიანიუსი

ილჰამ ალიევმა გიორგი მარგველაშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გიორგი მარგველაშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა. მან საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს მისალოცი წერილი გაუგზავნა.

„ნება მომეცით მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე თქვენი არჩევა. სასიამოვნოა, როცა ვხედავთ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ღრმა და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაფართოებას, რომელიც ყალიბდებოდა ისტორიულად, ისევე, როგორც ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობა.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენ ქვეყნებს შორის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და მრავალწახნაგოვანი თანამშრომლობა შემდგომშიც განვითარდება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კეთილდღეობისათვის, რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და პროგრესისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენს სახელმწიფო მოღვაწეობაში „– ნათქვამია ალიევის მისალოცი წერილში.

მედიანიუსი

გიორგი გუგავა: „არჩევნების გაყალბებას ნაციონალებსა და ოცნებას ცხვირში ძმრად ამოვადენთ!“

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტები ხელისუფლებას ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს სდებენ ბრალად და ბიულეტენების ხელახლა გადათვლას ითხოვენ. შალვა ნათელაშვილის თანაპარტიელები ამტკიცებენ, რომ მოხდა ბიულეტენების ხელახლა გადაწერა, სადაც ნათელაშვილის ხმები დაუმატეს როგორც მარგველაშვილს, ისე ბაქრაძეს. პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა აცხადებს, რომ არჩევნების შედეგებს სამართლებრივ ფლანგზეც გააპროტესტებენ და საერთაშორისო მასშტაბით გახდიან საჯაროს იმ გარიგების შესახებ, რომელიც ივანიშვილსა და სააკაშვილის გუნდებს შორის მოხდა.

რის სანაცვლოდ აღიარა ბურჯანაძემ არჩევნების შედეგები და არჩევნების გაყალბების რა მტკიცებულებები აქვთ ლეიბორისტულ პარტიაში, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავასთან:

– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და მართლაც ისე დემოკრატიის მაღალი სტანდარტითა და ობიექტურად ჩატარდა არჩევნები, როგორც ეს შეფასებებში ისმის?

– დემოკრატიასთან ამ არჩევნებს არანაირი თანხვედრა არ ჰქონდა. ეს იყო ღალატი, ხალხის მიმართ ჩადენილი, უპირველესად ყოვლისა კი – პრემიერის მხრიდან, იმიტომ, რომ ის გაურიგდა მიხეილ სააკაშვილს, მისცა სრული ხელშეუხებლობა არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით და სრული ინდულგენცია მიიღო იმ ჩადენილი დანაშაულების მიმართ, რომლებიც მას ამ 9 წლის მანძილზე მრავლად აქვს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაღმდეგ ჩადენილი, არამედ სრული ხელშეუხებლობა მიიღო ნაციონალური მოძრაობის მაღალი ეშელონების მხრიდან მიტაცებულმა ქონებამ, რომელიც მათ დააგროვეს წლების მანძილზე ხელისუფლებაში ყოფნისას. იცით, რომ ნაციონალებმა ძალიან დიდი ქონება მიიტაცეს. მოხდა სრული კოჰაბიტაცია, ურთიერთინტერესების გაზიარება და ამის შედეგია ამ საპრეზიდენტო არჩევნების ის პროცენტები, რომლებიც ურცხვად დაწერეს უბნებზე და გამოაქვეყნეს, რის შესახებაც პრემიერ-მინისტრი წინასწარ აცხადებდა. ამ მოლაპარაკებებში, სხვათა შორის, გარანტორები უცხოელი გავლენიანი ფიგურები იყვნენ. გახსოვთ, ალბათ, არჩევნების წინ საქართველოში ჩამოვიდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდი, ასევე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიკორსკი. სწორედ ისინი იყვნენ გარანტი ამ მოლაპარაკების, ამ შეთანხმებისა და გარიგებისა. სწორედ ამ გარიგების შედეგად ურცხვად დაიდო ის გაყალბებული შედეგი, რომელსაც ძალით ტენიან ქართველ მოსახლეობას. ეს გარიგება, უპირველესად ყოვლისა, იყო ქვეყნის წინააღმდეგ. ეს გარიგება იყო ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ, რომელსაც არჩევნების შედეგები გაუყალბეს. სხვათა შორის, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები გაქვს უბნებიდან ამოღებული პირველადი ოქმები და გვაქვს ისინიც, მერე ეს ოქმები როგორ გადაკეთდა.

– ანუ თქვენი მტკიცებით, პრეზიდენტობის კანდიდატ შალვა ნათელაშვილს ბევრად მეტი ხმა აქვს მიღებული, ვიდრე ცხადდება?

– რა თქმა უნდა. პირველ ადგილზე, ჩვენი დათვლებით, გავიდა ბატონი მარგველაშვილი, ოღონდ 35%-ით. მეორე ადგილზე გავიდა შალვა ნათელაშვილი 25%-ით. მაგრამ, როგორც გითხარით, ამ გარიგების შედეგად მოხდა ხმების გადანაწილება. პირველ ადგილზე რომ მოელოცათ და გახსოვთ, ალბათ, არჩევნების შედეგები გამოცხადებული კი არა, არჩევნები დამთავრებული არ იყო, ერთმანეთის მიყოლებით რომ მიულოცეს მარგველაშვილს გამარჯვება – ბაქრაძემ, სააკაშვილმა, უგულავამ და ნაცმოძრაობის მთელმა ბანდამ. ასევე ამ გარიგებაში მონაწილეობდა ნინო ბურჯანაძე, რომელმაც მილიონის ნაცვლად, რომელსაც ის ბიუჯეტიდან ამ დღეებში მიიღებს, აღიარა ამ არჩევნების შედეგები. გახსოვთ, ალბათ, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი რომ აცხადებდა, როგორ ხვდებოდნენ ხშირი ინტენსივობით არჩევნების წინ მას ხან ბაქრაძე, ხან – ნინო ბურჯანაძე. როგორც ხედავთ, იგივე კლანია, იგივე მილიონერ-მილიარდერები, რომლებიც წლების მანძილზე ძარცვავდნენ ამ ქვეყანას, ისევ მათ გადაინაწილეს ძალაუფლება ერთმანეთში. „ქართული ოცნება“ იქნება ხელისუფლება, ნაციონალური მოძრაობა – საპარლამენტო ოპოზიცია, ბურჯანაძე კი ცდილობს გარე ოპოზიციური ველი დაიკავოს და ამის გამოა, რომ ხელისუფლება ის ბურჯანაძე ერთმანეთს დითირამბებს უძღვნიან. ამიტომ მოხდა ერთსულოვანი აღიარება ამ გაყალბებული შედეგებისა სამივე პოლიტიკური ძალის მხრიდან, რომლებიც რეალურად მაინც ერთნი არიან. ისინი ერთად წარმოიშვნენ „მოქკავშირის“ წიაღიდან.

– რაზე მოხდა, თქვენი ინფორმაციით, გარიგება უცხოელებთან?

– გარიგება მოხდა იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობა დარჩენილიყო მეორე პოლიტიკურ ძალად ქვეყანაში. ნაციონალების ინტერესებშია საბოლოო ხელშეუხებლობა როგორც პიროვნული, ასევე ქონებრივი თვალსაზრისით. ეს ქონება რომ მიტაცებული აქვთ სააკაშვილის თანაგუნდელებს, ეს მთელმა საქართველომ იცის. ვნახოთ, თუ შერჩებათ. რა გამოვიდა: იგივე ძალებმა ხალხის თავლის ასახვევად გაითამაშეს ეს სპექტაკლი, რათა მილიარდერებს და მილიონერებს ხელში ისევ ძალაუფლება ჰქონდეთ, რომ გააგრძელონ ამ ქვეყნის გაყვლეფა და ხალხის დაჩაგვრა.

– მარგველაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებაც – 27-ში კოჰაბიტაცია დამთავრდება, ამას ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ხალხის ტერორის და ძარცვის ხარჯზე ნაშოვნი მილიონები შერჩებათ?

– რა თქმა უნდა. ეს არის სრული გარიგება. ხელშეუხებლობა და პოლიტიკური პერსპექტივა მისცეს ნაციონალებს ამ გარიგებით. გახსოვთ, ალბათ, პრემიერ-მინისტრი როგორ გვუბნებოდა წინასწარ პროცენტებს, ვინ რამდენს მიიღებდა და ვინ რომელ ადგილზე გავიდოდა. ეს რომ რომელიმე დასავლური ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერს გაეკეთებინა, მას მეორე დაატოვებინებდნენ თანამდებობას. გახსოვთ, ალბათ, ბიძინა ივანიშვილმა როგორი გაღიზიანებული, ასე ვთქვათ, არაეთიკური ფორმებით გააკეთა განცხადებები შალვა ნათელაშვილთან მიმართებით. ეს იყო პირდაპირი დავალება ხელისუფლებაზე, პირდაპირი დავალება საარჩევნო ადმინისტრაციებზე, რომ მათ უნდა დაედოთ ასეთი შედეგები. ამ გაყალბებისა და ამ დავალების მაჩვენებელია ის სამარცხვინო პროცენტული მაჩვენებლები, რომელიც გამოაქვეყნეს. ჩვენ ამას ჰაერზე კი არ ვამბობთ, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. ავიღოთ ოზურგეთის ერთ-ერთი საარჩევნო უბანი, ნატანების 49-ე უბანი, სადაც პირველადი ოქმის საფუძველზე, რომელსაც სურათი გადაუღო ერთ-ერთმა და სოციალურ ქსელში, შალვა ნათელაშვილს მიღებული აქვს 507 ხმა. შემდეგ, ოფიციალურ საიტზე რომ შეხვიდეთ და ნახოთ ის უბანი, დღეს იმ ოქმში 500 ხმა გადაწერილია მარგველაშვილზე, რომელსაც 63 ხმა ჰქონდა და დაუმატეს ის 500 ხმა, 50 ხმა მიუმატეს ბურჯანაძეს, 100 ხმა – ბაქრაძეს. ასე ხდებოდა არჩევნების დღეს. დაგვირეკეს სოფელ ძალისიდან, სადაც პირველ ადგილზე გავიდა შალვა ნათელაშვილი 318 ხმით. შეგვატყობინეს, რომ მიმდინარეობს შედეგების გადაკეთება. შალვა ნათელაშვილი არჩევნების ღამესვე ჩავარდა იმ სოფელში, კარი ჩაკეტეს, პოლიციის დაცვა დაუყენეს. მართალია, ოქმების გადაწერა ვერ მოახერხეს, მაგრამ 118 ხმა დაუტოვეს, 200 ხმა მოაკლეს და ნათელაშვილი მეორე ადგილზე დაწერეს. ასეთივე მაგალითები შემიძლია მოგიყვანოთ ქუთაისის, ლენტეხის და სხვა საარჩევნო უბნებიდან.

– ამ ფაქტებზე არასამთავრობო ორგანიზაციები რატომ არ საუბრობენ, ვერ შეამჩნიეს? თქვენ არ შეატყობინეთ?

– საარჩევნო ადმინისტრაციებში ვინც ითვლიდა არჩევნების შედეგებს წერდა, იცით, ვინ არის? „ნაცმოძრაობა“ და „ოცნება“. მათ კომისიები გადანაწილებული აქვთ. თქვენ მიერ დასახელებული არასამთავრობო ორგანიზაციები შედეგებს ტელევიზორიდან აკვირდებოდნენ, ცესკოდან აკვირდებოდნენ. იქ კი შედეგები არ იწერება. ცესკო აფორმებს შედეგებს იმ გაყალბებებს, რაც უბნიდან მოდის.

– რა გეგმები გაქვთ ლეიბორისტებს არჩევნების შედეგებთან მიმართებით? შალვა ნათელაშვილი არჩევნებამდე ამბობდა, ხალხს დავუძახებ რუსთაველზეო...

– ბრძოლა უკვე დაწყებული გვაქვს. გუშინ წინ ავუვარდით სახლში ბატონ ივანიშვილს. ის, როგორც მას სჩვევია, დაიმალა. გუშინ შეხვედრა იყო ამერიკის საელჩოში. ასევე გავაგრძელებთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას და მხილებას „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ გარიგებისა. ასევე ვაპირებთ სამართლებრივი, პოლიტიკური და ყველა გზებით, რომ ცხვირიდან ძმრად ვადენინოთ ის სიყალბე, რომელიც მათ თავს მოახვიეს ჩვენს ქვეყანას.

– კონკრეტულად რას ითხოვთ ლეიბორისტები?

– ჩვენ ვითხოვთ და ასე დაწერეთ: თუ ისინი დარწმუნებული არიან თავიანთ სიმართლეში, მოხდეს დალუქული ბიულეტენების ხელახალი გადათვლა. აი, იქ გამოჩნდება, ვინ ტყუის – ნათელაშვილი და ლეიბორისტული პარტია თუ ხელისუფლება, რომელმაც ურცხვად გამოაცხადა შედეგები. ამის პრეცედენტი არსებობს. 2002 წელს თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გადახდა მოხდა და არჩევნების შედეგები ისე დადგინდა. გაიხსნას ბიულეტენები, მის დათვლას ორი-სამი დღე სჭირდება. დათვლა მოხდეს ვიდეოკამერის, ჟურნალისტებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით. იქ ნახავთ დანაშაულსა და იმ სიყალბეს, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ ჩაიდინა. ხომ არიან მართლები, ხომ არიან დარწმუნებული თავიანთ სიმართლეში... მოვითხოვთ, მოხდეს ბიულეტენების გადათვლა.

მაია ფანჯიკიძე: „საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა უნდა მოახერხოს“

ნათია ხურცილავა

შეიძლება თუ არა, რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობები აღდგეს?

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს აღადგენს, თუმცა, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ამის წინაპირობა დეოკუპაციისა და აღიარების უკან წაღებაა.

საგარეო საქმეთა მინისტრი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ სერგეი ლავროვის განცხადებას გამოეხმაურა.

საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველო მზადაა, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყაროს, თუმცა ამის წინაპირობა ქვეყნის დეოკუპაცია და აღიარების უკან წაღებაა.

– ძალიან მინდა, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა მოახერხოს. მართლაც ძალიან მინდა, რადგან ამის წინაპირობა ქვეყნის დეოკუპაცია და აღიარების უკან წაღებაა. თუკი ეს მოხდება, რასაკვირველია, საქართველო მზადაა, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყაროს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება მშვიდობის შესახებ ხელშეკრულებას, ფანჯიკიძის თქმით, საქართველოს ცალმხრივად აქვს აღებული ვალდებულება ცეცხლის არგამოყენების შესახებ და ახლა რუსეთის ჯერია, რომ ეს ვალდებულება აიღოს.

– ეს არის თემა, რომელიც ჟენევაში განიხილება და, სხვათა შორის, მორიგი რაუნდი ზუსტად ერთ კვირაშია, – ამბობს ფანჯიკიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან კარს მომდგარ ვილნიუსის სამიტზე და მის სამზადისზე ისაუბრა. უკვე ცნობილია, რომ ვილნიუსში საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები არ იქნებიან.

ფანჯიკიძის განცხადებით, დელეგაციის შემადგენლობა მკაცრად განსაზღვრულია და იმის ფუფუნება არ არის, რომ ვილნიუსში წინა ხელისუფლების წარმომადგენლებიც წაიყვანონ.

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ქართული დელეგაციის შემადგენლობა 31 ოქტომბერს გახდება ცნობილი.

– ვილნიუსიდან მიღებული მოწვევა, რომელიც საქართველოს სახელზე იყო, გულისხმობს 1+2+5 დელეგაციის შემადგენლობას. აქედან 1 არის სახელმწიფოს მეთაური ანუ დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც ქვეყანას წარადგენს და უკვე ცნობილია, რომ ეს გიორგი მარგველაშვილია. 2 – ეს არის ორი მინისტრი, ხოლო 5 დელეგაციის შემადგენლობაა. დელეგაციის მიღება მკაცრი შეზღუდვით მოხდება. 1+2 ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია, თან ჰყავდეს ორი მინისტრი, რომლებიც იქნებიან ყველა მაღალი დონის ფორმატში, ხუთი კი შეძლებს, რომ მოვლენებს თვალყური სპეციალურად შექმნილი დარბაზიდან ადევნოს, სადაც იქნება ტრანსლირება იმისა, თუ რა მოხდება ცენტრალურ დარბაზში. ასეთი მკაცრი შეზღუდვაა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, იქნება თუ არა დელეგაციის შემადგენლობაში მიხეილ სააკაშვილი? ფანჯიკიძე პასუხობს:

– რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება, ტურისტული ან სხვა მიზნით იმ პერიოდში ვილნიუსს ეწვიოს და ვილნიუსის სურნელი შეიგრძნოს.

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ისინი უფრო მეტ ადამიანს წაიყვანდნენ ვილნიუსში, რადგან ასოცირების ხელშეკრულებაზე ბევრმა იმუშავა, მაგრამ ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა.

მისივე თქმით, ქართული დელეგაციის შემადგენლობაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ იქნებიან.

– წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ხელისუფლება არ არის. დღეს ჩვენ იმის ფუფუნების უფლება არ გვაქვს, რომ ვილნიუსში ხელისუფლებაში არმყოფი ხალხი წავიყვანოთ, – დასძინა ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძე ახალი ინიციატივით გამოდის. საგარეო საქმეთა სამინისტრო რეგიონული ამბასადორიალის ტრადიციის შემოღებას გეგმავს.

ეს იდეა მაია ფანჯიკიძემ საპატიო სტუმრის სტატუსით თბილისში მიმდინარე ისრაელის სახელმწიფოს რეგიონულ ამბასადორიალზე გააკეთა.

– ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საელჩომ გადაწყვიტეს, რომ საქართველოში რეგიონული ამბასადორიალი ჩაეტარებინათ. აქ წარმოდგენილია არა

მარტო რეგიონის, არამედ ცენტრალური აზიიდან, ბრიუსელიდან და ბელგიიდან ისრაელის წარმომადგენლები. ეს ორ რამეს ნიშნავს: ერთი, რომ ძალიან ეფექტური ურთიერთობებია ჩვენ ორ ქვეყანას შორის და ამიტომ აირჩიეს ეს ადგილი და მეორე იმიტომ, რომ საქართველოს რეგიონული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო რეგიონული ამბასადორიალის ტრადიციის შემოღებას გეგმავს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ბრიუსელში საქართველოს პრეზიდენტისა და თბილისის მერის ვიზიტების მომზადებაში საგარეო უწყება ჩართული არ იყო.

როგორც ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანმა განაცხადა, ამ ვიზიტთან დაკავშირებით ფანჯიკიძის უწყებამ ბრიუსელში საქართველოს საელჩოსგან შეიტყო.

– ამის შესახებ ჩვენ ბრიუსელში საელჩოსგან შევიტყვეთ. ბუნებრივია, დაკავშირება პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მოხდა. ჩვენ ამ ვიზიტის მომზადებაში არც ტექნიკურად, არც შინაარსობრივად ჩართული არ ვიყავით, მხოლოდ ინფორმაცია გვქონდა, – განაცხადა ზალკალიანმა.

უკვე ცნობილია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გიორგი მარგველაშვილის ვიზიტების დაგეგმვაზე მუშაობა დაიწყო.

დავით ზალკალიანის განცხადებით, მომავალი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი ვილნიუსის სამიტზე შედგება და დელეგაციის წევრების შესახებ საგარეო უწყება უახლოეს პერიოდში ჩამოყალიბდება.

– რა თქმა უნდა, დელეგაციას პრეზიდენტი უხელმძღვანელებს და მის შემადგენლობაში ასევე მაია ფანჯიკიძეც იქნება. ეს იქნება გიორგი მარგველაშვილის პირველი ვიზიტი და უკვე დავიწყეთ მუშაობა მარგველაშვილის სხვა ვიზიტებზე. ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების გარდა, ვილნიუსში შესაძლებელი იქნება, სხვა შეხვედრებიც განხორციელდეს. ეს იქნება კარგი შესაძლებლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერებთან გიორგი მარგველაშვილის გაცნობისა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრებით იქნება შესაძლებლობა, რომ მთავრობის საგარეო კურსზე, რომელიც ევროპას უკავშირდება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კიდევ ერთხელ მიიღონ დასტური, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პრესკონფერენციაზე.

ზალკალიანის განცხადებით, 30-31 ოქტომბერს საქართველოს ვიზიტით ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ეწვევა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა, ზეევ ელკინი 31 ოქტომბერს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელ მაია ფანჯიკიძეს შეხვდება. გარდა ამისა, შეხვედრები პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და შინაგან საქმეთა მინისტრთან არის დაგეგმილი.

– ზეევ ელკინის ვიზიტი საქართველოსა და ისრაელს შორის უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა მიმართულებებით გააქტიურებული ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელებას წარმოადგენს, რაშიც 2013 წლის ივნისში ბიძინა ივანიშვილის მიერ ისრაელში განხორციელებულმა ოფიციალურმა ვიზიტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, – განაცხადა ზალკალიანმა.

მისივე თქმით, შეხვედრების დროს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების საკითხები იქნება განხილული.

საგარეო უწყებაში მობილური კომპანიის „ემტეესის“ მიერ დაფიქსირებულ კანონდარღვევაზეც ისაუბრეს. როგორც პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გვითხრა, კომპანია „ემტეესის“ მიმართ სამართლებრივი ზომები იქნება მიღებული.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, ამ საკითხში ჩართული იქნება როგორც იუსტიციის, ისე საგარეო საქმეთა სამინისტრო.

„ჩვენ ამ საკითხს აუცილებლად სამართლებრივ კონტექსტში განვიხილავთ და საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყებების მხრიდან ზომები იქნება მიღებული“, – განაცხადა ზალკალიანმა.

„ემტეესის“ წინააღმდეგ სამართლებრივი დავის დაწყებასთან დაკავშირებით განცხადება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე გააკეთა.

როგორც პრემიერმა განმარტა, მას პოლონელმა ჟურნალისტებმა მიაწოდეს ინფორმაცია, რომ საოკუპაციო ზოლთან მიახლოებისას, „ემტეესის“ ქსელში ჩართულ ტელეფონებზე შეტყობინება დაფიქსირდა, რომლის თანახმად, პირი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, ქართველები შეთავაზებული პასპორტების აღებაზე უარს ამბობენ.

– ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ოკუპირებულ რეგიონში ჰუმანიტარულ საკითხებთან, თავისუფალ გადაადგილებასთან, ადამიანის უფლებებთან, ჟენევაში განიხილება და მინდა დაგარწმუნოთ, რომ მომდევნო რაუნდი სწორედ ამ საკითხების განხილვას მიეძღვნება. კერძოდ, პირველ სამუშაო ჯგუფში განიხილება უსაფრთხოების თემები, ძალის არგამოყენება, ხოლო მეორე ჯგუფში – ჰუმანიტარული საკითხები, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი და ადამიანის უფლებების შეზღუდვის თემები. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს საკითხები ჟენევის მომდევნო რაუნდზე მწვავედ იქნება, – განაცხადა ზალკალიანმა.

არ არის გამორიცხული, რომ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფარგლებში სამუშაო შეხვედრები განახლდეს. ზალკალიანის განცხადებით, ამ საკითხზე საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

– მოგეხსენებათ, რომ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში სამუშაო შეხვედრები შეჩერებული იყო. მას შემდეგ, რაც საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, მან აქტიურად დაიწყო ამ შეხვედრების განახლების საკითხზე მუშაობა. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული ამ პროცესში. მინდა, გამოვთქვა იმედი, რომ ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდის შემდეგ, რომელიც 5-6 ნოემბერს გაიმართება, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ექნება შესაძლებლობა, რომ ნოემბერში გალში შეხვედრები განახლდეს, – განაცხადა ზალკალიანმა.

დავით ნარმანია: „სააკაშვილმა ძალიან ბევრი ფული გამოიყენა და ბიუჯეტის ხარჯზე ბევრი იარა“

ნათია ხურცილავა

გუშინ გამყოფ ხაზთან ახსებული ვითარების ჰეაგირების სამთავრობო კომისიამ შემაჯამებელი სხდომა გამართა. კომისიაში მინისტრები, მათი მოადგილეები და დეპუტატები შედიან.

კომისიის წევრებმა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებზე, გაზიფიცირების საკითხზე, სახლების გადახურვების პროგრამებზე ისაუბრეს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობა სოფლის მეურნეობისა და განათლების სფეროებში დაფინანსდება. ნარმანიას განცხადებით კომისიამ მოისმინა და განიხილა განათლების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ წარმოდგენილი პროგრამები და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღო.

– განათლების სამინისტროს შეეძლება, გადასახადისაგან გაათავისუფლოს ის სტუდენტები, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, თუმცა მათი რაოდენობა 50-ს არ უნდა აღემატებოდეს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის საკითხს, სამინისტროს წარმომადგენელმა დამატებითი ინფორმაცია წარმოადგინა, წყლის სარწყავი არხების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რისთვისაც გათვალისწინებულია მილიონ ლარზე მეტი და ვგეგმავთ, რომ სეზონის დაწყებამდე ეს საქმეც მოგვარდეს, – განაცხადა ნარმანიამ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა ძალიან ბევრი ფული გამოიყენა და ბიუჯეტის ხარჯზე ბევრი იარა.

ნარმანიას განცხადების თანახმად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში მხოლოდ 5 000 ლარია დარჩენილი.

– პრეზიდენტი რომ თავის სარეზერვო ფონდს ბოლომდე ამოწურავდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. მან იცოდა, რომ 27 ოქტომბრის მერე ვერ გააგრძელებდა უფლებამოსილებას, ამიტომ მან, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, დახარჯა ძალიან ბევრი ფული, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსები. ჩემი ინფორმაციით, მან ძალიან ბევრი ფული გამოიყენა და ბიუჯეტის ხარჯზე ბევრი იარა, ამიტომ სხვა რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა, არც იყო მოსალოდნელი, – განაცხადა ნარმანიამ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა მოსახლეობიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში მათი დაზიანებული სახლები გაურემონტებელი დარჩა და მათ უთხრეს, რომ ფული უკვე გახარჯული იყო.

– თუ აღმოჩნდება, რომ დარღვევებთან გვაქვს საქმე, ეს შესაბამის სამსახურებს გადაეცემა, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

როგორც აღვნიშნეთ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების სამთავრობო კომისიამ შემაჯამებელ სხდომა გამართა და ცნობილი გახდა, რომ მსგავსი სხდომები რეგულარულად გაიმართება.

როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა სხდომის დაწყების წინ განაცხადა, ეს არის შემაჯამებელი სხდომა, რომელზეც განვლილ პერიოდს შეაჯამებენ და აღნიშნა, რომ ასეთი სხდომები მომავალშიც რეგულარულად გაიმართება.

– ეს არის შემაჯამებელი სხდომა. ვაჯამებთ განვლილ პერიოდს. ასეთი სხდომები ჩატარდება რეგულარულად, ვიდრე ის ყველა საკითხი არ ამოიწურება, რაც გამყოფ ხაზთან არის დაკავშირებული. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2-3 სოფელზეა საუბარი, თუმცა რეალურად, 50-მდე სოფელია ასეთ მდგომარეობაში. ის საკითხები, რომლებიც 5 წლის განმავლობაში არ გადაჭრილა, ჩვენ ვცდილობთ, რომ 6 თვეში გავაკეთოთ. პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო შს სამინისტროს. მართლაც, უპრეცედენტოდ დიდი დახმარება გაუწიეს კომისიას, რათა მოგვევლო თითქმის ყველა სოფელი და ყველა სოფლის წარმომადგენელს შევხვედროდით, ერთი კვირის განმავლობაში. დაგვრჩა მხოლოდ გორის რაიონის გასწვრივ არსებული სოფლები, რომლებსაც ამ დღეებში მოვინახულებთ და მკაფიოდ გვეცოდინება უკვე, რა გეგმით უნდა ვიმოქმედოთ, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ამ სოფლების გაზიფიცირება განხორციელდება და მათ კომისია ყველანაირად დაეხმარება.

– უნდა დავასრულოთ იმ სოფლების გაზიფიცირება, სადაც გაზი არ არის. ასევე განხორციელდება გამრიცხველიანება ყველა სოფლის, თუმცა იქ, სადაც გაზი ვერ მივა ზამთრამდე, შეშის პროგრამა მუშავდება. უკვე გვაქვს საუბრები, რათა დაიწყოს იმ სახლების რემონტი, რომლებიც ომის დროს დაიწვა და არ გარემონტებულა, თუმცა ამისათვის ფული გამოყოფილია, მაგრამ ეს მხოლოდ ფურცელზე წერია, რეალურად, სახლები გადახურულიც არ არის. ახლა მიმდინარეობს კვლევა, რამდენი სახლია ასეთი, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ 300-ზე მეტი სახლია დაზიანებული, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

როგორი პიარტექნოლოგიები იყო გამოყენებული არჩევნებზე

თამარ ნინიძე

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდობიანად დასრულდა და ახლა შესაძლებელია უკვე შევაფასოთ, რომელ კანდიდატს როგორი პიარტექნოლოგიები ჰქონდა გამოყენებული, რომელმა მოწოდებებმა იმუშავა კარგად და როგორი იყო საარჩევნო რგოლები, რომლებიც ტელევიზიით გადიოდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია მშვიდი აგიტაციით ხასიათდებოდა, შეხვედრები, რომლებიც რაიონებში იმართებოდა, საქმიან და მშვიდ გარემოში ტარდებოდა. სარეკლამო რგოლებში კარგია, რომ მარგველაშვილის პიარტექნოლოგებმა არ გამოიყენეს კონკურენტების მიმართ შავი პიარის ტექნოლოგიები, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილმა აქცენტი კონკურენტების უარყოფით თვისებებზე არათუ არ გაამახვილა, არამედ საერთოდ არ მიაქცია ყურადღება, წინასაარჩევნო კამპანიის მიწურულს მარგველაშვილმა მხოლოდ ერთი მოწოდება გაახმოვანა, რომ 28 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება. როგორც მოგვიანებით განმარტა, 28 ოქტომბერს კუდიანებზე ნადირობა არ გაიმართებოდა, არამედ ხელისუფლების ერთ შტოში დასრულდა ორხელისუფლებიანობა, ნაციონალებმა დატოვეს პრეზიდენტის რწმუნებულების პოსტები და სახლებში წავიდნენ.

ნაციონალების კანდიდატის დავით ბაქრაძის სარეკლამო რგოლის წინ აუცილებლად გადიოდა სრულიად უღირსი და ურცხვი რეკლამა, „ოცნება არ



მუშაობს“, 76 დაპირება არ შესრულდა. ყველა ნორმალური და საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება იმას, რომ ერთ წელიწადში ვერც 76 და ვერც 96 დაპირება ვერ შესრულდება. მაგრამ ჩაითვალა, რომ ნაციონალები ამით ოცნებას შავ პიარს უგორებდნენ, მაგრამ შავმა პიარმა არ იმუშავა. ზოგადად დავით ბაქრაძის სარეკლამო რგოლს გასდევდა მოწოდება „ერთად ვაკონტროლოთ მთავრობა“, ბაქრაძეს ისედაც მოუწევს პარლამენტში ოპოზიციის ლიდერის ამპლუაში მთავრობის მუშაობის კონტროლი. საამისოდ პრეზიდენტობა სულაც არ არის აუცილებელი.

„დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატის ნინო ბურჯანაძის სარეკლამო რგოლებში ნაცმოძრაობის შავი პიარის ნიშნები მრავლად იყო, ეს ბუნებრივიცაა, „დემოკრატიული მოძრაობა“ თავს დაზარალებულად სწორედ ნაცმოძრაობისგან მიიჩნევს, ამიტომ „სამართლიანობა ყველგან და ყოველთვის“ მოწოდება ბურჯანაძის სარეკლამო რგოლებში ამომრჩევლის მოზიდვას ემსახურებოდა, ამავე დროს ძირითადი პრინციპი რუსეთთან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყება, ბურჯანაძის ყველაზე მნიშვნელოვან მოწოდებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ერთპიროვნულად ბურჯანაძე ამ მოლაპარაკებებს ვერ დაიწყებდა კოალიციასთან შეთანხმების გარეშე. ჩანს, რომ ბურჯანაძის სამართლიანობაზე გაკეთებული აქცენტი და კობა დავითაშვილის მიერ სააკაშვილის სხვადასხვა დროს თქმული ფრაზები „ყველანი ციხეში“, „ნულოვანი ტოლერანტობა სააკაშვილს და მის გუნდს“, ამომრჩეველზე ამან ისე ვერ იმოქმედა, როგორც ბურჯანაძე და დავითაშვილი ვარაუდობდნენ.

ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის გიორგი თარგამაძის სარეკლამო რგოლები საქმიანი და მშვიდი იყო იქამდე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ თარგამაძეს მოღალატე არ უწოდა, აი, ამის მერე კი თარგამაძის სარეკლამო რგოლები უფრო აგრესიული გახდა და უარესსა და ცუდს შორის კი ნუ აირჩევთ, არამედ მე ამირჩიეთ იმიტომ, რომ ტრადიციებით ევროპისკენ მივდივარო, ამ შინაარსის გზავნილები მიაწოდა ამომრჩევლებს. აქედან ჩანს, რომ თარგამაძეს ნერვებმა უღალატა და ვერ მოზომა. ნათელაშვილმა გადაწყვიტა კარდაკარ და სოფელ-სოფელ ევლო და ყველა ღობე-ყურეს მოედო იმის იმედით, რომ გაიმარჯვებდა, ბოლოს ისე გაცხარდა, რომ პირველ-მეორე ადგილებზე მე გავედიო, ასეთი აბსურდული განცხადება მოვისმინეთ მისგან. ჩანს, რომ ლეიბორისტებს აშკარად რაღაც აქვთ შესაცვლელი ან უკვე ნათელაშვილის დრო წავიდა და გზა უფრო ახალგაზრდა ლიდერებს უნდა დაუთმოს.

საინტერესოა, აასრულებს თუ არა კობა დავითაშვილი თავის დაპირებას და წავა თუ არა პოლიტიკიდან. გამყრელიძემ კაცურად დადო ამის პირობა და შეასრულა კიდეც ეს დაპირება, ახლა რიგი კობაზეა, სამ პროცენტს თუ ვერ გადავლახავ, პოლიტიკიდან წავალო ბრძანა დავითაშვილმა და ახლა იმის მოლოდინში ვართ, რას იზამს ხალხის პარტიის ლიდერი.

ხარატიშვილის მშვიდობისმოყვარე სარეკლამო რგოლებმა დადებითი განწყობა კი შექმნა, მაგრამ სასურველი პროცენტები ხარატიშვილს ვერ მოუტანა. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ელექტორატი „ქართულ ოცნებაზეა“ გადართული. „ახალ თაობასთან“ საუბარში ხარატიშვილმა აღნიშნა კიდეც, რომ ტრაგედიას არ შექმნის თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ მოიგებს. ხარატიშვილი ახლა ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადება და საერთოდაც დასავლურ ვექტორზე არსებული პოლიტიკური ძალებისთვის სიმედო საყრდენს წარმოადგენს.

ყველაზე ნერვების მომშლელი და ამავე დროს სახუმარო სარეკლამო რგოლები კი სერგო ჯავახიძეს ჰქონდა. ნოღაიდელის ყოფილი თანაპარტიელი რატომღაც ყველას გვიმტკიცებდა, რომ თითოეული ქართველის ოჯახის წევრია, აქამდე ეს არ ვიცოდი, რგოლების შინაარსი სწორედ ასეთი იყო, ოჯახური მდგომარეობა დაოჯახებული, რამდენი წევრია ოჯახში, ოთხი მილიონი, ოჯახის დანარჩენი წევრები კი თურმე საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ წასული და მისი ოცნებაა, უკან დააბრუნოს ოჯახის წევრები.

ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე თვეა, იმედია, ამ დროისთვის პოლიტიკური პარტიების სარეკლამო რგოლები უფრო კრეატიული, დახვეწილი და რაციონალურ დაპირებებზე გათვლილი იქნება.

მიხეილ სააკაშვილმა პოლიციის შესახებ კანონს ხელი მოაწერა

პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებულ „პოლიციის შესახებ“ კანონპროექტს ხელი მოაწერა. საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პარლამენტის მიერ არის დამტკიცებული, მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა.

კანონი განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს.

პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანაზომიერება, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

კანონი განსაზღვრავს პოლიციის პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპს და კანონის თანახმად პოლიციელი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს უპარტიობის პრინციპის დაცვით. პოლიციელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისათვის.

კანონის თანახმად, პოლიციას უფლება ენიჭება, გასაუბრების მიზნით შეტყობინებით მიიწვიოს პირი პოლიციაში, თუ: არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირს აქვს საჭირო ინფორმაცია, რომელიც პოლიციას თავისი ფუნქციის შესრულებაში დაეხმარება, თუ ეს აუცილებელია სხვა პირის იდენტიფიკაციის ღონისძიებების განსახორციელებლად. შეტყობინებისას პირს უნდა განემარტოს მოწვევის საფუძველი და რომ პოლიციაში გამოცხადება და პოლიციის დატოვება ნებაყოფლობითია, პირის მოწვევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი სამსახურებრივი მოვალეობების თავისებურებები და პირადი ცხოვრების ინტერესები, არასრულწლოვნის მოწვევა დასაშვებია მხოლოდ მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან ერთად, მოწვეული სრულწლოვანი პირის პოლიციაში ყოფნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს, ხოლო არასრულწლოვნისა – 2 საათს.

პოლიციას უფლება აქვს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას გააჩეროს პირი და განახორციელოს მისი ზედაპირული შემოწმება, ასევე ნივთისა და სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება. აღნიშნული პროცედურის განხორციელების დროს რამდენიმე გარანტია იმოქმედებს. კერძოდ: პირის შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს; ნივთისა და სატრანსპორტო საშუალების ზედაპირულ დათვალიერება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით; ზედაპირული შემოწმებისას ჩხრეკის საფუძვლის წარმოშობისას ჩხრეკა უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების დაცვით. სპეციალური საპოლიციო კონტროლისას (ე.წ. რეიდი) უნდა განხორციელდეს მხოლოდ ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება.

პოლიციაში სამსახურის გავლის წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტებით. პოლიციელს ეკრძალება გაფიცვა, აგრეთვე შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობა, ასევე პოლიციელს ეკრძალება პოლიტიკური გაერთიანების წევრობა. პოლიციელს უფლება არა აქვს, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე სხვა სახაზინო დაწესებულებაში ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს სახელმწიფოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში, ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში.

ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-59-ე მუხლებისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო აღნიშნული მუხლები, რომლებიც გულისხმობს პოლიციელისა და სამინისტროს სხვა მოსამსახურის პასუხისმგებლობას და რამდენიმე კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ამოქმედდება 2014 წლის 1 იანვრიდან.

მედიანიუსი

თეა წულუკიანი: „არ ვიცი, რა კითხვები ექნება სააკაშვილთან პროკურატურას“

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მისთვის უცნობია რა კითხვები შეიძლება ჰქონდეს მთავარ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. ამის შესახებ წულუკიანმა ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს პირდაპირ ეთერში განაცხადა, როდესაც წამყვანი დაინტერესდა, წარდგება თუ არა მიხეილ სააკაშვილი სასამართლოს წინაშე მას შემდეგ, რაც ის საქართველოს პრეზიდენტი აღარ იქნება.

„მე არ ვარ პროკურორი და შესაბამისად, ვერ მეცოდინება, რა კითხვები შეიძლება ჰქონდეს საქართველოს პროკურატურას როგორც მიხეილ სააკაშვილის, ისე ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მიმართ.

ერთადერთი, რაც ვიცით, არის ის, რომ პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, ძაღზე მძიმე ბრალდებები აქვს წაყენებული, რომელთა შორის არის საქმე, რომელიც ადამიანის მკვლელობას ეხება“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

ნიუსპრესი

„დემოკრატიული მოძრაობა“ 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 9 აპრილისა და 2011 წლის 21-26 მაისის მოვლენების გამოძიებას ითხოვს

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ მიესალმება სახალხო დამცველის ინიციატივას, რომ პარლამენტისა და მთავრობის მიერ ჯეროვნად იქნას დაფასებული 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა და დაზარალებულთა წვლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მათთვის და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნასთან დაკავშირებით.

ამასთან, „დემოკრატიული მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ უნდა დააფასოს ასევე იმ ადამიანთა თავგანწირვა, რომლებიც წლების მანძილზე საკუთარი სიცოცხლისა და თავისუფლების რისკის ფასად წინ აღუდგნენ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ უსამართლო რეჟიმს და რომელთა თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად, 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვება იქნა მიღწეული. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე პარტის მთავარი საბჭოს წევრმა გიორგი კობახიძემ განაცხადა.

„მიგვაჩნია, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა მოამზადოს და განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ჩვენი ქვეყნის იმ მოქალაქეებთან და მათი ოჯახის წევრებთან მიმართებაში, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ, გასწირეს სიცოცხლე, დაზარალდნენ ან უსამართლოდ, პოლიტიკური ნიშნით იქნენ დაპატიმრებულნი, 2007 წლის

7 ნოემბრის, 2009 წლის 9 აპრილისა და მას შემდეგ განვითარებული მოვლენების, ასევე 2011 წლის 21-26 მაისის აქციების დროს. „დემოკრატიული მოძრაობა“ კიდევ ერთხელ მოითხოვს გამოძიებულ იქნას 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 9 აპრილისა და 2011 წლის 21-26 მაისის მოვლენები, რომლებიც საზოგადოების მოლოდინის მიუხედავად არ იქნა გამოძიებული ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს პროცესი ახლა მაინც დაიწყება დაუყოვნებლივ, რათა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ მიიღოს ამომწურავი, უტყუარი ინფორმაცია და ყველა კითხვას გაეცეს პასუხი, რათა მსგავსი რამ ჩვენს ქვეყანაში აღარასოდეს განმეორდეს“ – განაცხადა კობახიძემ.

ნიუსპრესი

დღეს პარლამენტის პლენარული სხდომა გაიმართება

საკანონმდელო ორგანო ხვალიდან მუშაობას გაანახლებს. უკვე ჩანიშნულია რამდენიმე სხდომა. 11:00 საათზე ბიუროს სხდომა გაიმართება, ხოლო 12:00 საათზე – პლენარული. გარდა ამისა, დღესვე, 15:00 საათზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომა უნდა გაიმართოს, რომლის დღის წესრიგიც უკვე ცნობილია. კომიტეტის წევრები შვიდ საკითხზე იმსჯელებენ, მათ შორის, იქნება „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და სხვა საკითხები. პარლამენტის მუშაობა დროებით საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით იყო შეჩერებული.

ნიუსპრესი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ნაპოვნ იარაღს ექსპერტიზა ჩაუტარდება

თბილისში რუსთაველის გამზირზე მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, სარემონტო სამუშაოების დროს საბრძოლო მასალა აღმოაჩინეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, იარაღი ყუთით კედელში იყო განთავსებული. პირველადი დათვალიერებით, იარაღი ძველია და სასროლად უვარგისი, თუმცა, მას ექსპერტიზა ჩაუტარდება. მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

არჩევნებზე მარკირების პროცედურა დასახვეწია

შორენა გონგლაძე

საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის შეფასებით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები დარღვევების გარეშე წარიმართა. ამის შესახებ განცხადება „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ასოციაციის პრეზიდენტმა თორნიკე ჭეიშვილმა გააკეთა. ჭეიშვილის განცხადებით, ჩატარებული არჩევნები სერიოზულ წყალგამყოფად უნდა იქცეს საქართველოს უახლეს ისტორიაში, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებამ შეუქცევადი ხასიათი უნდა მიიღოს.

– ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდამხარ საქართველოს თითოეული მოქალაქის აქტიური მონაწილეობა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. ყველამ უნდა გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე და აქტიურად ჩაერთოს ისეთ მნიშვნელოვან პროცესში, როგორიცაა მომავალ წელს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, დაანონსებული საკონსტიტუციო რეფორმა, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კონტროლისთვის საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუტების რეფორმირება, – აცხადებს ჭეიშვილი.

ორგანიზაცია გარკვეული რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

– სასურველია, საუბნო საარჩევნო კომისიები განლაგებული იყოს სხვადასხვა შენობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამომრჩევლის გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩენა. ასევე დასახვეწია მარკირების პროცედურა. საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება იმისათვის, რომ მათ უფრო ეფექტურად შეძლონ უფლებამოსილებათა განხორციელება. აუცილებელია აგრესიული სააგიტაციო კამპანიის წარმოება, საარჩევნო პროცესის მნიშვნელობის მიმართ მოქალაქეთა ცნობიერების ასამაღლებლად. მათ შორის საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, – ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში.

„ჩვენი მწერლობის“ დარბაზში პოეტური კრებულის — „ნამსხვრევების“ — განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გაიმართა განხილვა ნუციკო დეკანოზიშვილის ახალი პოეტური კრებულისა — „ნამსხვრევები“. როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ეს არაორდინარული კრებულია. მისი თქმით, დღესდღეობით, როცა წიგნის გამოცემა გაადვილებულია, მით უფრო ძნელია თავის დამკვიდრება, მაგრამ რაც ბუნებრივიცაა და მაღალმხატვრულიც, ის გზის გაკვლევას მაინც ახერხებს.

„ნამსხვრევები“ არა მარტო ყოფის ნამსხვრევებზე, არამედ სულიერების დაშლაზე მოგვითხრობს. ის განსაკუთრებული წიგნია. ვაქცევ ხოლმე ყურადღებას, რამდენად შეკრულია წიგნი და რამდენადაა დაცული ერთი მთლიანობა. ასეთი კრებულები გააზრებული უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ მკითხველს გაუადვილდეს მისი შეცნობა-შეთვისება. ნუციკო დეკანოზიშვილისათვის მთლიანობისაკენ სწრაფვა ნიშანდობლივია. ეს ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იყოს პოეტური კრებული კომპოზიციურად კარგად შეკრული, გააზრებული და მონოტონურობის საფრთხეს გარიდებული“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ. მისივე თქმით, პოეტების ახალგაზრდულ ნაკადში ერთი ნაკლია — ერთფეროვნება, მონოტონურობა. ცალ-ცალკე აღებული ყველა ლექსი შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ ერთად თავმოყრილი შესაფერის შთაბეჭდილებას აღარ ახდენს ხოლმე. ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური კრებული კი ამ მხრივაც განსხვავებულია.

პოეტმა ნინო ქუთათელაძემ პოეზიაში მიმბაძველობაზე ისაუბრა, რაც მას ქართველი პოეტი ქალების მიმართ სკეპტიკურად განაწყობს.

„ნუციკო დეკანოზიშვილი კი არავის ჰგავს. რასაც წერს, ყველაფერი მისია. ნუციკო დეკანოზიშვილი ზედაპირული და იოლად გასაგები პოეტი არ გახლავთ, რაც ძალიან მიბიძგებს. თუ პოეზიაში ინტენსიურად იმუშავებს, ქართულ ლიტერატურაში თავის კვალს აუცილებლად დატოვებს“, — აღნიშნა ნინო ქუთათელაძემ.

როგორც პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა იოსებ ჭუმბურიძემ განაცხადა, ის დღევანდელ საღამოზე სამშობლოს თემაზე დაწერილმა ლექსმა — „სიზმარი სამშობლოზე“ — გამოიყვანა. მისი მოსაზრებით, სამშობლოს თემა საჯილდაო ქვაა — როგორ დაწერ და რას ეტყვი ახალს სამშობლოს, გაცვეთილი და ზედაპირული რომ არ იყოს.

„მერჩივნა, ამ კრებულსაც „სიზმარი სამშობლოზე“ რქმეოდა. ის ჩვენს პატრიოტულ ლირიკაში სრულიად ახალი ლექსია“, - — აღნიშნა იოსებ ჭუმბურიძემ.

როგორც მომხსენებელმა, კრიტიკოსმა და ლიტერატურის მკვლევარმა სალომე კაპანაძემ განაცხადა, თავად ნუციკო დეკანოზიშვილი საოცრად ჰგავს ლექსს.

„ნუციკოს პოეზიის სიღრმეს ყოველთვის განსაზღვრავს ყოფიერების წვდომის სიღრმე და სიმძლავრე. მასთან დრო ზოგჯერ ისე შეიკუმშება, რომ ერთდროულად განიცდი შეხვედრის სიხარულს და განშორების სევდასაც. გრძნობების ამწეწია მისი ყოველი სტრიქონი, სიყვარულის საცნაურობითა და გამაოგნებულობით დამუხტული. მისი სიყვარულის მიმოქცევაში ერთი სტრიქონიც კი საკმარისია, რომ იგრძნო ნუციკოს, როგორც პოეტის, უაღრესად შთამბეჭდავი პროფილი, რომლის დახვეწილობაც მიგყვება დიდხანს, საოცრად დიდხანს, სანამ ისევ მისი მსგავსი არ წამოგეწევა და არ გაგაოგნებს“.

როგორც კრიტიკოსმა თამარელა წოწორიამ განაცხადა, ნუციკო დეკანოზიშვილის „ნამსხვრევების“ მთავარი მოტივი ის არის, რომ თუ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და სახედ, ადამიანმაც უნდა გაიმეოროს ეს ქმნადობა — შექმნას საკუთარი თავი. უფალი მხოლოდ შესაძლებლობას და თავისუფალ ნებას გვაძლევს, ამ შესაძლებლობის განხორციელება კი ჩვენი საქმეა.

„ვფიქრობთ, რომ ნუციკო დეკანოზიშვილის კრებულის სახელწოდება „ნამსხვრევები“ გამოხატავს არა გაყოფას ამ კრებულის მრწამსის, არამედ იმ სტილურ თავისებურებას, რითიც გამოირჩევა მისი პოეზია. იგი თითქოს შლის თავის სამყაროს, ან ანამცეცებს თავის სულს, რათა ხელახლა აღადგინოს და ერთ მთლიანად წარმოსახოს“, — აღნიშნა თამარელა წოწორიამ.

ავტორმა პოეტური კრებულიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხა. სიტყვით გამოვიდნენ: მანანა გაბაშვილი, ლევან ქურციკაშვილი, დალი შამუგია, ლიზა ლაზარაშვილი, სალომე ჩიტაძე, მარიამ ცხვედიანი.

მედიანიუსი

მარგველაშვილის ადმინისტრაციის უფროსად მისი ყოფილი ცოლისძმა ინიშნება

შორენა გონგლაძე

საქართველოში ყოველი ხელისუფლების დროს, ყოველთვის იყო და დღემდე რჩება ნეპოტიზმის პრობლემა ანუ ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ინსტიტუტი. თუ გინდა, საქართველოში რაიმეს მიაღწიო, ამისთვის დიდი სწავლა-განათლება სულაც არ არის საჭირო და აუცილებელი, მთავარია, იყო თანამდებობის პირის ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ცოლისძმა ან სიმამრი და თანამდებობა და სახელმწიფოს ბიუჯეტზე რამდენიმეწლიანი უზრუნველი ცხოვრება გარანტირებული გაქვს. ასე იყო წინა ხელისუფლების დროს და იგივე ხდება დღესაც. როგორც წინა, ასევე დღევანდელ ხელისუფლებას ნათესავ-მეგობრების თანამდებობებზე დანიშვნა სულაც არ უქმნის უხერხულობას. მართალია, პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ერთ-ერთი ინტერვიუში განაცხადა, რომ ნეპოტიზმის პრობლემა ნამდვილად არსებობს და ამასთან დაკავშირებით ყველა თანამდებობის პირი სასტიკად ჰყავს გაფრთხილებული, თუმცა აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია და სხვა არაფერი, რომელიც მხოლოდ საზოგადოების დამშვიდებას ემსახურება.

მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნებმა უჩვეულოდ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და უკვე „მაგარი პრეზიდენტიც“ გვყავს, მთელი ყურადღება პრეზიდენტის აპარატის დაკომპლექტებაზეა გადასული. ტელეკომპანია ტვ3-ის ინფორმაციით, ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილის ადმინისტრაციის უფროსად მისი ყოფილი ცოლისძმა ინიშნება.

ტვ3-თან საუბარში გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურის უფროსმა შალვა რამიშვილმა განაცხადა, რომ ოფიციალურ განცხადებას საკუთარი პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ლაშა აბაშიძე უახლოეს მომავალში გააკეთებდა. თუმცა ინფორმაცია, რომელიც გუშინ გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურმა გაავრცელა, მარგველაშვილისა და აბაშიძის ნათესაობაზე არაფერია ნათქვამი. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსი ლაშა აბაშის ბიოგრაფიული მონაცემები ასეთია:

– ლაშა აბაშიძე 2012-2013 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის უფროსი იყო. 2010-2012 წლებში ლაშა აბაშიძე ლონდონის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტში მუშაობდა, რომლის ძირითადი საქმიანობა საკრედიტო და საინვესტიციო მომსახურების გაწევა იყო. იგი იყო ბიზნესის განვითარების უფროსი/აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ზედამხედველობას უწევდა კომპანიის ძირითად საფინანსო-საოპერაციო საქმიანობას; ზედამხედველობდა კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს, იურიდიულ, საკადრო, რისკებისა და ფინანსურ დეპარტამენტებს, ანგარიშების შესრულებას, ახორციელებდა ბიუჯეტირებას და უზრუნველყოფდა მისი პარამეტრების შესრულებას.

2007-2010 წლებში ლაშა აბაშიძე იყო სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ ოპერაციათა მართვისა და შესყიდვების სააგენტოს უფროსი.

ამავე მონაცემებით, 2004-2005 წლებში ლაშა აბაშიძე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სწავლობდა, სადაც სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის ხარისხი მიიღო. 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის იურისტის სპეციალობით, ხოლო 2011 წელს დიდ ბრიტანეთში ფინანსური მართვისა და აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამა გაიარა.

ლაშა აბაშიძე იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო ფონდის მმართველი, მარგველაშვილის წარმომადგენელი ცესკოში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსი ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. შეგახსენებთ, რომ ლაშა აბაშიძე ახალ თანამდებობაზე ანდრო ბარნოვს შეცვლის.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ნეპოტიზმს, აბაშიძე-მარგველაშვილის ნათესაობა არც პირველია და არც უკანასკნელი ხელისუფლებაში, თუ იმ ჩამონათვალს გადავხედავთ, რომელიც ნათესაური კავშირებით თანამდებობების დაკავებას ეხება. მაგალითად, უმცირესობის წევრის ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, დავით დარახველიძემ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მეგობარი და მეჯვარე გედევან ლომიძე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსად დანიშნა. გარდა ამისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილის, მამუკა ცოტნიაშვილის მეუღლე, მარეხ მთვარელიძე სამინისტროში გაერო-ს პროგრამაში მუშაობს. იგი ამ უწყებაში არჩევნების შემდგომ დაასაქმეს.

ნეპოტიზმის მთავარ ბუდედ ღარიბაშვილის სამინისტრო რჩება. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავებმა საკმაოდ მოითბეს ხელი. მაგალითად: თამაზ თამაზაშვილის ცოლისძმა, და, სიძე, დისშვილი დღეს სამსახურების უფროსებად გვევლინებიან. ირაკლი ღარიბაშვილის და, თეა ღარიბაშვილი, დაინიშნა მუნიციპალური განვითარების ფონდში პროექტების ანალიზის განყოფილების უფროს სპეციალისტად.

ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილი, ზვიად ჯანყარაშვილი, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსად დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ წინასაარჩევნოდ ზვიად ჯანყარაშვილი „ქართული ოცნების“ სიღნაღის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრს ყურადღების მიღმა არც საკუთარი მამა, ტარიელ ღარიბაშვილი დაუტოვებია, არჩევნების შემდეგ ბატონი ტარიელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად მუშაობს.

შს მინისტრის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის და, თამარ თამაზაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი გახდა. თა-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

„დარისპანის გასაჭირი“ ანუ რას ფიქრობდნენ წინასაარჩევნოდ ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები

ხალხის აზრი

არჩევნები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რამდენიმე დღის საქართველომ პრეზიდენტი აირჩია. გავრცელებული ინფორმაციით, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების უმეტრსობამ პრეზიდენტად დავითბაქრაძე აირჩია.

არადა წინასაარჩევნოდ ჩვენ სხვა განწყობა ქინდათ. რას ფიქრობდნენ წინასაარჩევნოდ და რას ფიქრობენ ყბადაღებულ კოჰაბიტაციაზე ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველები ამას ჩვენი გამოკითხვიდან შეიტყობთ, რომელიც არჩევნების წინ ჩაატარეს.

ცირა ბითაძე; ბიოლოგი:

– ქართული ოცნების დიდი გულშემატკვარი ვიყავი ,გარდა იმისა ,რომ წავედი არჩევნებზე ძალიან ვაქტიურობდი,რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. მაგრამ ქართული ოცნების სათავეში მოსვლიდან ერთი თვის შემდეგ დავინახე,რომ ესენიც ისეთივე მატყუარები იყვნენ ,როგორც წინა მთავრობები და საერთოდ არ აინტერესებდათ საქართველოს ბედი .ერთი წლის შემდეგ ,ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი. ვეთანხმები იმ ადამიანების აზრს,ვინც ამბობს,რომ ე.წ. კოჰაბიტაცია აწყობს ორივე მხარეს და ასე კომფორტულად გრძნობენ თავს .ერთი მხარე იტყვის მეორე უპასუხებს ...ამასობაში კი მიდის დრო ,თვითონ ძლიერდებიან ,მოსახლეობა კი ღატაკდება. 100%-ით იმედგაცრუებული ვარ და ვთვლი, რომ ჟერ კიდევ შორს არის ის დრო ,ვიდრე გვეყოლება ეროვნული მთავრობა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ეყვარება. რაც შეეხება წინასაარჩევნო განწყობას ,ჩანს,რომ გაყალბებენ...ივანიშვილი-მარგველაშვილის საარჩევნო კამპანია კი მაგონებს დავით კლდიაშვილის პერსონაჟს ,,დარისპანის გასაჭირიდან „კაროჟნასავით“ ,რომ დაჰყავს მარგველაშვილი გასასაღებლად .ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს ,გვეუბნება : მე რადგან ვენდობი ,თქვენც უნდა ენდოთო ანდა ,რომ გაიძახის მივდივარო ,ფარაონი ხომ არ არის ,რომ თავის შემცვლელს გვიტოვებს. ივანიშვილი ამით ძალიან ბეგრს იღებს თავის თავზე და მეცოდებიან ადამიანები,ვისაც კიდევ სჯერა ამ კაცისა.

ლია გიორგაძე:

– ოცნების კანდიდატით დიდად აღფრთოვანებული არ ვარ. მარგველაშვილს გამარჯვებინებენ ივანიშვილის საპატიჟცემულოდ. ივანიშვილი რომ არ დაჰყვებოდეს შეხვედრებზე, დარწმუნებული ვარ 20 კაცსაც კი ვერ მოაგროვებს. პრეზიდენტად ვისურვებდი შალვა ნათელაშვილს .ასეთი სამართლიანი და გულწრფელი არცერთი პოლიტიკოსი არ არის.შალვა ნათელაშვილია ერთი,რომელიც ხალხისათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობს.

გიორგი ინასარიძე; სტუდენტი:

– :მე ვფიქრობ, რომ ,,ქართულმა ოცნებამ“ და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა შეუძლებელი შეძლეს ერთი წლის განმავლობაში.რა თქმა უნდა ყველაფერი და ზოგადად ,,ოცნება“ ჯერ ასრულებული არ არის ,მაგრამ თუკი სააკაშვილს ვაცადეთ ცხრა წელი და კოჰაბიტაციით დღესაც ვაცდით მისი მზაკვრული გეგმის შესრულებას,რატომ ივანიშვილს არ უნდა ვაცადოთ? მკვლელობები, პატიმრების წამება ,ბიზნეს-წილების მითვისება და სხვა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება -ეს ყველაფერი მოითმინა ხალხმა ,სხვა გზაც არ იყო. ეხლა, როცა გამოჩნდა სხვა გზა : როდესაც აღარ შანტაჟდება ბიზნესი და აღარავინ იჭერს 8 შვილის მამას ერთი ტომარა კარტოფილის მოპარვისათვის. როცა თავისუფლად ვამბობთ სათქმელს ,როცა დავდექით დემოკრატიის გზაზე და ხალხი ნებით აფიქსირებს არჩევანს და არა სპეც-ნაზის მიერ ჩატენილი ბიულეტინებით, როცა რამდენიმე სახელმწიფო დამნაშავე დაჭერილია და ა.შ. თქმა იმისა, რომ ივანიშვილმა არ გაამართლა -არასწორად მიმაჩნია . ზვიადი სულავა: ლეიბორისტი ემიგრანტი:

– ამ არჩევნებში მარგველაშვილი გაიმარჯვებს. შალვა ეროვნულია და მას ამერიკიდან არ აქვს მხარდაჭერა ამდენად მისი გამაჯვება გამორიხულია. რაც შეეხება კოჰაბიტაციას უნდა დამთავრდეს და მიშა და მისი ბანდა უნდა გასამართლდეს არავითარი დანდობა „ქართულმა ოცნებამ”ერთი წლის განმავლობაში მაქსიმუმი გააკეთა ,ამდენსაც არ ველოდი .არჩევნების შემდეგ ველოდები ნაც.მოძრაობის გასამართლებას და სასამართლო ხელისუფლების შეცვლას .დანარჩენი კი თანმიმდევრულად განვითარდება.ერთბაშად არაფერი არ ინება.

ნიკო ნადირაშვილი:

– კარგი პოლიტიკოსი და კარგი ლიდერი მაშინ ხარ, როდესაც ერის კაცებს შემოიკრებ გარშემო. ქართველ ერს ჭკუის სწავლება კი არ უნდა, იქით უნდა ვეკითხებოდეთ ჭკუას. არ მოგეზრდათ ერთმანეთის ლანძღვა და დამცირება, რა მაგალითს აძლევთ მომავალ თაობას ? თუ ქვეყანა გვიყვარს და მისთვის კარგი გვინდა ერთად დავდგეთ და ისე მივხედოთ ქვეყანას. ყველა კანდიდატს მისი ამომრჩეველი ჰყავს და ერთმანეთის ლანძღვითა და დაპირისპირებით თქვენივე ამომრჩეველს ,რომ ერთმანეთს უპირისპირებთ ,ამაზე თუ ფიქრობს ვინმე? ეს არის დემოკრატია, რითაც თავს იწონებთ და რითაც გინდათ მთელი მსოფლიო გააკვირვოთ? გააკვირვებთ კიდეც. ნუთუ თქვენს შორის ერთი მაინც არ არის ისეთი,რომელიც ერს ერთობისაკენ მოუწოდებს?

რაული კოპალეიშვილი:

– სამწუხაროდ არც ამ არჩევნებს არ უჩანს კარგი პირი, ხალხი მეტს ელოდა ,ბევრი მოტყუვდა .ვინც მოწინააღმდეგე იყო ,,ქართული ოცნებისა”, ჩემ თავსაც მათ მივაკუთვნებდი, მათი პოზიცია გამყარდა. კოჰაბიტაცია სასურველია მხოლოდ იმიტომ ,რომ ჩემთვის მიუღებელ ძალას ნაცმოძრაობას მთლიანად არ დაენგრია ყველაფერი . ჩემს წარმოდგენაში კოჰაბიტაცია მიუღებელია ქვეყნის დასაღუპად წამყვან ძალასთან. არც არჩევნების შემდეგ პერიოდს ვუყურებ დიდი იმედით,ხალხის უმრავლესობა ისევ იტყვის ეს მთავრობა არ გამოდგება 4 წლის შემდეგ ახალი მოვა, ის არ გამოდგება -ისევ ახალზე ვიფიქრებთ და ა.შ. არავითარ შემთხვევაში ძველი ,არავითარ შემთხვევაში ევროპული ,რაღაცა ეროვნული ძალა,რომელიც ისევ არ ჩანს.

„ნიუსპრესის“ ამერიკის ბიურო

ლელა ჭელიძე

საბავშვო ევროვიზიისთვის კლიპი გადაღებულია

ეკა ირემაშვილი

2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „ზი სმაილ შოფ“ საკონკურსო სიმღერაზე „გივ მი იორ სმაილ“ კლიპის გადაღება დაასრულა.

საკონკურსო სიმღერის ვიდეორგოლის გადაღება ალექსანდრე გრიბოედოვის თეატრში მხოლოდ ერთ დღეს მიმდინარეობდა. კლიპის რეჟისორი გიგა კუხიანიძეა, სპეციალურად ვიდეორგოლისთვის ბავშვებისთვის კოსტიუმები და ახალი იმიჯები მარიკა ქურდუბაძემ შექმნა.

ჯგუფის წევრების გარდა, კლიპში ქუთაისის ბავშვთა ბიგ-ბენდიც მონაწილეობდა, რომლის ხელმძღვანელიც დავით ჯანელიძეა. ვიდეორგოლის პრეზენტაცია პირველი არხის ეთერში უახლოეს დღეებში გაიმართება. მოგვიანებით კი კლიპი წლევანდელ საბავშვო ევროვიზიის კონკურსში მონაწილე ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებზეც გამოჩნდება.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის „ევროვიზია ჯუნიორი“ წარმატების მომტანი აღმოჩნდა. საქართველო საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული ორჯერ გახდა, წელს კი კონკურსში მეშვიდედ მონაწილეობს.

საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა პირველი არხის დილის გადაცემაშიც იმღერა. რიგით მე-11 საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს ჯგუფი წარადგენს, რომლის წევრები არიან მარიამ შავლაძე, ანა კვანტალიანი, მარიამ სამუშია, თამთა დიასამიძე, საბა ჩაჩუა და ლუკა გოგიბერიძე. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კონკურსზე საქართველო სექსტეტით წარდგება.

რა არის ჩემთვის საბავშვო ევროფესტივალი? – ქართველმა მონაწილეებმა კონკურსის შესახებ ისაუბრეს:

მარიამ შავლაძე, 10 წლის: – საქართველოსთვის, რომელიც პატარა ქვეყანაა საბავშვო ევროვიზიის პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია, რომ საქართველოს მოპოვებული წარმატებული ქვეყნის სახელი შევუნარჩუნო. მინდა მთელი ევროპა ჩვენზე ლაპარაკობდეს, როგორც ნიჭიერსა და წარმატებულ ბავშვებზე. ძალიან მინდა გამარჯვება, რომ კიდევ ერთხელ გავახაროთ ქართველი გულშემატკივარი და მთელი საქართველო.

ანა კვანტალიანი, 12 წლის: – საბავშვო ევროვიზია არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მუსიკალური პროექტი, რომელზე მოხვედრა თითქმის ყველა ბავშვის ოცნებაა. გაგვიმართლა და ოცნება აგვიხდა, ამიტომ დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით ამ კონკურსს. ჩემთან ერთად ჯგუფში არის 5 უნიჭიერესი და ძალიან თბილი ბავშვი, ასევე, ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც გვეხმარებიან ყველაფერში. ყოველდღე ერთად ვშრომობთ იმისთვის, რომ კონკურსზე საქართველო ღირსეულად წარვადგინოთ, მოვიპოვოთ პირველი ადგილი.

საბა ჩაჩუა, 13 წლის: – ევროვიზია ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა ოჯახის, ქვეყნის წინაშე. ეს კონკურსი მომცემს დიდ გამოცდილებას, მნიშვნელოვანი იქნება ჩემი მომავალი სამუსიკო კარიერისთვის. მთავარია რწმენა, რომ გამარჯვებას შევძლებთ. ღირსეულად უნდა წარვადგინოთ ჩვენი ქვეყანა და მაქსიმალურად ვაჩვენოთ ჩვენი შესაძლებლობები. რეპეტიციებზე მისვლა ყოველთვის მიხარია, რადგან ვიცი რომ იქ დამხვდებიან ადამიანები რომლებიც ჩემთვის სამაგალითოები არიან. შიდა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მამამ მირჩია, მას სჯეროდა, რომ ამ დაბრკოლებას გადავლახავდი. დედას იმედი აქვს, რომ კიევშიც გავიმარჯვებთ.

მარიამ სამუშია, 11 წლის: – არც ისეთი დიდი ვარ, რომ ვთქვა სიმღერა ბავშვობიდან დავიწყე მეთქი, თუმცა კი შეიძლება ასეც ითქვას. ჩემი მშობლების რჩევით მოვხვდი „ბზიკების სტუდიაში“, სადაც მომეცა საშუალება რომ ჩემთვის პროფესიონალ მუსიკოსებს მოესმინათ. ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა პედაგოგმა მითხრა, რომ ტარდებოდა კონკურსი, სადაც არჩევდნენ ბავშვებს 2013 წლის საბავშვო ევროვიზიისთვის. შიდაშესარჩევი კონკურსი მე და ხუთმა ნიჭიერმა ბავშვმა წარმატებით გადავლახეთ. ოცნება ამისრულდა, მივემგზავრები უკრაინაში ევროვიზიაზე! მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება.

ლუკა გოგიბერიძე, 14 წლის: – ევროვიზიის კონკურსი უპირველეს ყოვლისა უსაზღვრო გამოცდილებაა. ამ პროექტის საშუალებით მიხილავს არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო. იმედი მაქვს, რომ ყველა შემიყვარებს. შევიძენ ბევრ ახალ მეგობარს, მეცოდინება თუ რა არის ნამდვილი შრომა, რამდენი უნდა იწვალო იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიო, გახდე წარმატებული საქმეში, რომელიც ძალიან გიყვარს.

თამთა დიასამიძე, 11 წლის: – კასტინგი რომ დაიწყო, ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ თავს ვიმხნევებდი, თამთა შენ ამას შეძლებ-მეთქი! კონკურსისთვის რომ შემარჩიეს სიხარულისგან და ემოციებისგან დიდხანს ვხტუნავდი, ვყვიროდი, ვტიროდი... ბევრ კონკურსში ვმონაწილეობდი, ხან პირველი ადგილი მოვიპოვე, ხან მეორე, ხან მესამე. ახლა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურსისთვის ევროვიზიისთვის ვემზადები.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის წარმომადგენელი ევროვიზიის კონკურსების ხელმძღვანელი ჯგუფი კიევში უკვე იმყოფებოდა. ჯგუფი 2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხებსა და გეგმებს გაეცნო. მე-11 საბავშვო ევროფესტივალის მასპინძელმა უკრაინის მაუწყებელმა ჯგუფის წევრებს სცენის დიზაინი, კონკურსის კონცეფცია, ლოგო, რეპეტიციების განრიგი, კონკურსანტების სცენაზე გამოსვლის რიგითობა, სოციალური პროგრამა, ევროვიზიის წვეულების გახსნა, ევროკლუბი, ფანკლუბის განთავსება, მასმედიის წარმომადგენელთა დასწრება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გააცნო. მასპინძელმა მაუწყებელმა ინოვაციები პრესკონფერენციაზე გაახმოვანა. სცენაზე გამოსვლის რიგითობა: წელს, მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ სცენაზე გამოსვლის თანმიმდევრობას 25 ნიომბერს საბავშვო ევროფესტივალის გახსნით კონცერტზე ბავშვები თავად განსაზღვრავენ. სიმღერის ხანგრძლივობა: სიახლეა ის, რომ სიმღერის ხანგრძლივობა გაიზრდება და 3 წუთს შეადგენს. „ფოსთქარდები“ (ვიდეორგოლი, რაც კონკურსანტის წარდგენას ისახავს მიზნად და მის სცენაზე გამოსვლამდე აჩვენებენ პუბლიკას) 15-წამიანი გახდება. ამ ცვლილებებით ბავშვებს მეტი შესაძლებლობა ექნებათ საკუთარი თავი უკეთ წარმოაჩინონ. ასევე, სიახლეა ის, რომ ბავშვთა ჟიურის ხელმძღვანელები ქულებს სცენაზე, შოუს მსვლელობისას გამოაცხადებენ. გამარჯვებულის ჯილდო: კონკურსის ლოგოსა და სლოგანიდან გამომდინარე შეიქმნა ფაზელი-კაცუნას სამი განსხვავებული ფერის ფიგურა. წელს სიახლე იქნება ის, რომ სამახსოვრო ჯილდო გამარჯვებულის გარდა, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებსაც გადაეცემათ. სპეციალური სტუმარი: მე-11 საბავშვო ევროფესტივალზე სპეციალური სტუმრის სტატუსით იქნება მიწვეული გასული წლის კონკურსის გამარჯვებული უკრაინის წარმომადგენელი ანასტასია პეტრიკი.

როგორც საბავშვო ევროვიზიის ოფიციალური საიტი იტყობინება, მასპინძელმა მაუწყებელმა კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით კიევში მიმდინარე შეხვედრაზე ლოგო წარმოადგინა. წელს საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის სლოგანია „იყავი კრეატიული“. ლოგოზე კი „ფაზელი“ ასაწყობი კაცუნა-გამოცანაა გამოსახული. ფაზე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მარგველაშვილის ადმინისტრაციის უფროსად მისი ყოფილი ცოლისძმა ინიშნება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

მარ თამაზაშვილის მეუღლე, ვასიკო აბულაშვილი, რამდენიმე თვეა, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრში აღრიცხვის სამსახურის უფროსად მუშაობს.

თამაზ თამაზაშვილის ცოლის, მაია თამაზაშვილის ძმა, ნუგზარ პაპიაშვილი, დაინიშნა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსად, ირაკლი ღარიბაშვილის ცოლისძმის, პარლამენტის წევრის, ლექსო თამაზაშვილის მეგობარი დიმიტრი მაისურაძე კი – საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოს უფროსად.

დიმიტრი მაისურაძის ნათესავები: გიგა და ოთარ გავაშელიძეები, ასევე სიმამრი, ავთო გავაშელიძე დასაქმდნენ და დაწინაურდნენ საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოში, სხვადასხვა თანამდებობებზე. ლექსო თამაზაშვილის მეგობარი თემურ მეტრეველი დაინიშნა თელავის სახანძრო და სამაშველო სამსახურის უფროსად. თემურ მეტრეველი 2 წლის წინ თელავში 42 წლის დიტო დენტოშვილის მკვლელობისთვის გაასამართლეს. თემურ მეტრეველის ცოლისძმაა კახეთის საპატრულო პოლიციის უფროსი დიმიტრი მაისურაძე.

ანალოგიური სიტუაციაა ქალაქის საკრებულოშიც, ირაკლი შიხიაშვილმა თავისი ორივე ქვისლი საკრებულოში მაღალ თანამდებობებზე დაასაქმა. როგორც ირკვევა, ირაკლი შიხიაშვილის ერთი ქვისლი, ვახტანგ ასათიანი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გიორგი მუსხელიშვილის მრჩევლად დაინიშნა, ხოლო მეორე – ემზარ შოშიაშვილი – საკრებულოს ლეგალიზაციის კომისიის განყოფილების უფროსად. იურიდიული მომსახურების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ოთარ თევდორაძე, ინტერფრაქციული უმრავლესობის წევრის, ნინო თევდორაძის შვილია. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, ზურაბ გაჩეჩილაძის (შონზოს) ცოლისდა, ქეთევან მამუკაშვილი, განათლებისა და კულტურის კომისიის წამყვანი სპეციალისტია; ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის მთავარი სპეციალისტი ლევან წერეთელი დეპუტატ დავით წერეთლის შვილია.

ნეპოტიზმი გუგუნებს ასევე აფხაზეთის მთავრობაშიც. გავრცელებული ინფორმაციით, დევნილთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გვაძაბიას მამა არის უზენაესი საბჭოს წევრი და საფინანსო კომისიის თავმჯდომარე. რაიასა ქარაია, დეპუტატი, ფრაქციის ხელმძღვანელია, მისი ქალიშვილი კი – კულტურის სამინისტროს აპარატის უფროსი. რუდიკ ცატავა არის უზენაესი საბჭოს წევრი და ფრაქციის ხელმძღვანელი, მისი შვილი, ხათუნა ცატავა კი დევნილთა დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით გვაძაბიას მრჩევლად დაინიშნა. რუდიკ ცატავას სიძე მთავრობის აპარატის უფროსი ოთარ გარმელიაა. ვახტანგ ყოლბაიას ქვისლი თორნიკე კილანავა დაინიშნა აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის პირველ მოადგილედ.

ეს არასრული ჩამონათვალია ნეპოტიზმის იმ შემთხვევებისა, რომელზეც პრემიერ-მინისტრმა საკუთარი გუნდის წევრები ასე სასტიკად გააფრთხილა. საკმაოდ მარტივი გასაგებია, თუ როგორ ასრულებენ პრემიერის დავალებას მისივე გუნდის წევრები.

განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან დადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

ხელბურთელთა ნაკრები უკვე ლიტვაშია

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა უკრაინაში დაგეგმილი სანვრთნელი შეკრება დაასრულა. სერბი სპეციალისტის ჯორჯე რასიჩის ხელმძღვანელობით გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადება, რომელიც ლიტვაში მასპინძელთა ნაკრებთან შეხვედრით დღეს დაიწყება.

მომავალი დაპირისპირებისთვის საქართველოს ნაკრებმა ბოლო ვარჯიში ოპტიმალური შემადგენლობით ჩაატარა. კიევში ყოფნის ბოლო დღეს გუნდს კიდევ ერთი ლეგიონერი რეზო ჭანტურია შეუერთდა. ქართველი ხელბურთელები უკრაინის დედაქალაქში 3 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ და სანვრთნელი პროგრამის ფარგლებში მასპინძელთა გუნდთან ერთი ამხანაგური შეხვედრაც გამართეს.

1 ჯგუფი: ლიტვა, თურქეთი, საქართველო, ფინეთი

30 ოქტომბერი: ლიტვა – საქართველო, ფინეთი – თურქეთი

3 ნოემბერი: თურქეთი – ლიტვა, საქართველო-ფინეთი

2 იანვარი: ფინეთი – ლიტვა, თურქეთი – საქართველო

4-5 იანვარი: ლიტვა – ფინეთი, საქართველო – თურქეთი

8-9 იანვარი: საქართველო – ლიტვა, თურქეთი – ფინეთი

11-12 იანვარი: ლიტვა – თურქეთი, ფინეთი – საქართველო

2 ჯგუფი: სლოვაკეთი, რუმინეთი, კვიპროსი, იტალია

3 ჯგუფი: სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ლუქსემბურგი

4 ჯგუფი: ჰოლანდია, ისრაელი, საბერძნეთი, ბელგია

5 ჯგუფი: პორტუგალია, ბოსნია, ლატვია, ესტონეთი

გეტყვით, რომ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ ევროპის ზონის პლეიოფში, სადაც 5 გუნდს დაემატება კიდევ 13 ევროპული ნაკრები. 18 გუნდი დაწყვილდება და მსოფლიო ჩემპიონატის 9 მონაწილეს გამოავლენს. ორმატჩიანი პლეიოფი შინ და სტუმრად სისტემით 2014 წლის ივნისში გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატი 2015 წლის იანვარში 24 გუნდის მონაწილეობით იმართება ყატარში. მასპინძელი ყატარი და მსოფლიო ჩემპიონი ესპანეთი ტურნირში შერჩევის გარეშე იასპარეზებენ. ევროპას, ესპანეთის გარდა, 12 ადგილი აქვს გამოყოფილი.

3 საგზურს მიიღებს ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის სამი საუკეთესო გუნდი (ესპანეთის გარდა), ხოლო დანარჩენი 12 მონაწილე ქვეყანა გადავა მსოფლიო ჩემპიონატის პლეიოფში. მათ დაემატება გერმანია, როგორც საუკეთესო რეიტინგის მქონე ნაკრები და პირველი ეტაპის 5 გამარჯვებული.

პლეიოფის პოტენციური მონაწილეები არიან: დანია, ჩეხეთი, მაკედონია, ავსტრია, ისლანდია, უნგრეთი, ნორვეგია, სერბეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, ხორვატია, შვედეთი, ბელარუსი და მონტენეგრო, რომლებიც ესპანეთთან ერთად 2014 წლის იანვარში ითამაშებენ დანიაში ევროპის ჩემპიონატზე. პირდაპირ პლეიოფშია დაშვებული გერმანია.

მუნდიალზე გუნდების მატებას გეგმავენ

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. პლატინის თქმით, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 32 ქვეყანას უნდა დაემატოს სხვა ქვეყნებიც და მონაწილეთა რაოდენობა 40-მდე უნდა გაიზარდოს.

ადრე ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მუნდიალზე მონაწილე ევროპული გუნდების შემცირების ინიციატივით გამოვიდა, რის ხარჯზეც აფრიკული და აზიური გუნდების გაზრდა უნდა მომხდარიყო.

– სრულიად ვეთანხმები ბლატერს, რომ საჭიროა მეტი აფრიკული და აზიური ნაკრებები, მაგრამ იმის მაგივრად, რომ შემცირდეს ევროპული გუნდების რაოდენობა, ჩვენ მონაწილეთა რიცხვი 40 გუნდამდე უნდა გავზარდოთ, დავამატოთ 2 აფრიკული, 2 აზიური, 2 ამერიკული, 1 ოკეანეთისა და 1 ევროპული გუნდი, – აღნიშნა პლატინიმ.

უეფას მოქმედი პრეზიდენტის სიტყვები საკმაოდ საგულისხმოა, რადგან, საფეხბურთო წრეებში გავრცელებული ინფორმაციით, მიშელ პლატინი ფიფას პრეზიდენტობას უმიზნებს და მას ამ მიზნის მიღწევის ძალიან დიდი შანსი აქვს.

სიონს ახალი მწვრთნელი ჰყავს

გიორგი კიკნაძემ საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა. ქვემოქართლელთა თავკაცის მოვალეობას დროებით გიორგი ლოლაძე შეასრულებს, რომელიც აქამდე კიკნაძის ასისტენტი იყო.

საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში „სიონმა“ 0:1 წააგო „მეტალურგთან“ და 10 ტურის შემდეგ 9 ქულით მე-10 ადგილზე. ცხადია, ამ შედეგით უკმაყოფილო იყო ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძეც. ამას დაემატა კლუბში არსებული ფინანსური პრობლემებიც, რამაც „სიონის“ თავკაცს გადადგომისკენ უბიძგა.

– იქიდან გამომდინარე, რომ გუნდში ფინანსური პრობლემები იყო და შედეგიც არ ჰქონდა, გიორგი კიკნაძემ წასვლა გადაწყვიტა. კლუბის ხელმძღვანელობა მას შესრულებული სამუშაოსთვის მადლობას უხდის. გადაწყდა, რომ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას გიორგი ლოლაძე შეასრულებს. „სიონის“ გენერალური დირექტორის ლადო ბურდულის განცხადებით, გუნდში ნორმალური სამუშაო სიტუაციაა და ფეხბურთელები „ზესტაფონთან“ სათასო მატჩისთვის ემზადებიან, – აცხადებენ კლუბში.

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბრაიტონი-უოტფორდი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-ბილბაო 0:1

საატენირო ცხრილი:

1.ბარსელონა	10	9	1	0	30-7	28
2.ატლეტიკო	10	9	0	1	26-7	27
3.რეალი	10	7	1	2	20-11	22
4.ვილიარეალი	10	6	2	2	19-10	20
5.ბილბაო	10	6	1	3	16-13	19
6.ხეტაფე	10	5	1	4	14-12	16
7.ლევანტე	10	4	4	2	12-14	16
8.ესპანიოლი	10	4	2	4	12-14	14
9.სოსიედადი	10	3	4	3	11-10	13
10.სევილია	10	3	4	3	17-17	13
11.ვალენსია	10	4	1	5	13-17	13
12.ელჩე	10	3	3	4	10-13	12
13.გრანადა	10	3	2	5	6-10	11
14.ვალიადოლიდი	10	2	4	4	12-15	10
15.სელტა	10	2	3	5	13-13	9
16.მალაგა	10	2	3	5	11-14	9
17.რაიო	10	3	0	7	7-24	9
18.ბეტისი	10	2	2	6	9-17	8
19.ოსასუნა	10	2	1	7	7-15	7
20.ალმერია	10	0	3	7	11-23	3

შედეგები

იტალია. სერია ბ

ნოვარა-ჩეზენა 1:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-კაიზერი 0:0

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

კლერმონი-ლანსი 0:0

პორტუგალია. ა ლიგა

ფერეირა-გიმარაეში 1:3

ბელგია. პრემიერლიგა

ყუბანი-ანჟი 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ტრაბზონი 3:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანაითოლიკოსი-კალონისი 4:0

დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ორხუსი 0:2

შვედეთი. ალსვენსკა

ნორჩიოპინგი-ესტერი 1:1

ელფსბორგი-მალმიო 0:2

აზერბაიჯანი. პრემიერ ლიგა

ესტუდიანტესი-ქილმსი 1:0

ოლიმპი-რასანგი 0:1

გოგიტა გოგუა: „თანაგუნდელები ჩახოხბილის გაკეთებას მთხოვენ“



ქართველი ფეხბურთელი გოგიტა გოგუა უცხო არავისთვის უნდა იყოს. გოგუას ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, მაგრამ ბოლოს ქეცბაიასთან აერია სიტუაცია და დიდი ხანია, „ჯვაროსნებში“ არ გამოჩენილა. გოგუას ვერც წარმოუდგენია ნაკრებში დაბრუნება, სანამ მთავარი მწვრთნელი ქეცბაია იქნება და ამას რუსულ მედიასთან საუბრისას ღიად აცხადებს.

– ადრე თქვით, რომ რუსეთში თქვენთვის დიდი ფეხბურთი დაიწყო არა „ხიმკიდან“, რომელშიც პირველად თამაშობდით, არამედ ნალჩიკის „სპარტაკიდან“. ასე რატომ ფიქრობთ?

– „ხიმკიში“ ცოტას ვთამაშობდი და თავს ფეხბურთელად ვერ ვგრძნობდი, რაც არ მაკმაყოფილებდა. ნალჩიკში მისვლისთანავე თავი უკვე ფეხბურთელად ვიგრძენი. როდესაც იქ მივედი, გუნდში პირველი ქართველი ვიყავი, ხოლო შემდეგ მოვიდნენ დავით სირაძე და ლევანი გვაზავა. ნალჩიკში კლუბის ხელმძღვანელობამ, გულშემატკივრებმა და სამწვრთნელო შტაბმა ძალიან კარგად მიმიღეს, მენდობოდნენ და პრემიერლიგაში თამაში არცთუ ცუდად დავიწყე.

– თქვენთვის მნიშვნელოვანია, რამდენ გოლს გაიტანთ?

– ჩემ მიერ გატანილ გოლებს არ ვითვლი, რადგან ამას მნიშვნელოვნად არ მივიჩნევ. მთავარია, რომ გუნდმა მოიგოს. ნალჩიკში მეტწილად ნახევარმცველის პოზიციაზე ვთამაშობდი და ჩემთვის მთავარი პასის გაკეთება იყო. ცხადია, გოლის გატანა სასიამოვნოა, მაგრამ გუნდის შედეგი უფრო მნიშვნელოვანია.

– ნალჩიკში ჩატარებული პირველივე სეზონის შემდეგ გულშემატკივრებმა გუნდის საუკეთესო მოთამაშეებს შორის მე-3 ადგილზე დაგასახელეს.

– გულშემატკივრებს იქ დღემდე ვახსოვარ, რაც ძალიან სასიამოვნოა. 2006 წელს გუნდის საუკეთესო ახალწვეული გავხდი. შემდეგ ნალჩიკიდან სხვა გუნდებში გადავდიოდი, კერძოდ, „სატურნსა“ და „ტერეკში“, მაგრამ ისევ უკან ვბრუნდებოდი, რადგან „სპარტაკში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი.

– ყოველი მატჩის შემდეგ ხაბაროვსკელი გულშემატკივრები საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ხმას აძლევენ და თქვენ მეორე ადგილზე ხართ. მხოლოდ გიორგი ნავალოვსკი გჯობნით.

– რა თქმა უნდა, ეს მახარებს და მადლობელიც ვარ, მაგრამ ხაბაროვსკში უფრო მეტად სხვა რამ მაღელვებს: ფეხბურთი მეორე ადგილზე რატომ არის? ფეხბურთი მსოფლიოში უპირველესი სპორტია. აქ სხვანაირად რატომაა და ცოტა მაყურებელი რატომ დადის, არ ვიცი. შედეგით თუ ვიმსჯელებთ, გუნდი არცთუ ცუდად გამოდის. მითუმეტეს, ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ ვართ – ხანგრძლივი გადაფრენა და დაღლილობა. ნორმალური ფეხბურთელებივით რომ ვისვენებდეთ, შედეგი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა. ფეხბურთისადმი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. ფეხბურთელებს პატივი უნდა სცენ. ბიჭებს, რომლებიც აქ თამაშობენ, ძეგლი უნდა დაუდგან. ხაბაროვსკში თამაში ძალიან ძნელია, რადგან დროში დიდი სხვაობაა და ბევრი ენერგია ფუჭად იხარჯება. ზოგჯერ ღამე ვერ იძინებ და საჭმელს უდროო დროს ჭამ. მოედანზე გადიხარ და თამაში ძალიან რთულია.

– გამოდის, ეთანხმებით მთავარ მწვრთნელ ვალდას ივანაუსკასს, რომელიც ამბობს, რომ მისი ფეხბურთელები რობოტებივით არიან.

– ვალდასს ვეთანხმები, რადგან ისიც ასეთ მდგომარეობაშია. ყველასთვის რთულია, მათ შორის, სამწვრთნელო შტაბისთვის. კარგია, რომ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის ნორმალური დამოკიდებულებაა. საერთო ჯამში, კლუბში კარგი სიტუაციაა. ჩვენ მეგობრული გუნდი ვართ.

– გუნდში მშობლიურ ენაზე საუბრობთ?

– ხშირად. ფეხბურთელებმა იციან, რომ მე და გიორგი ნავალოვსკი ერთმანეთს ქართულად ველაპარაკებით, რასაც ჩვეულებრივ აღიქვამენ. ბრაზილიელებიც ხომ ერთმანეთს მშობლიურ ენაზე ელაპარაკებიან. რუსული ისე კარგად არ ვიცით, როგორც ჩვენი ენა.

– მოთამაშეებმა ხომ არ გთხოვეს, რომ რაიმე ქართული სიტყვა გესწავლებინათ?

– მათ ისედაც ყველაფერი იციან. განსაკუთრებით – „ლამაზი“ სიტყვები სხვადასხვა ენაზე.

– კლუბის გენერალურმა დირექტორმა სერგეი ფელდმანმა თქვა, რომ კერძებს თავად იმზადებთ. თქვენი საყვარელი კერძი?

– ყველას ვერ ჩამოგითვლით. ეს საიდუმლოა. დიახ, ვამზადებ. ვერ გეტყვით, რომ ეს საქმე ძალიან მიყვარს, მაგრამ ძალიან კარგად ვჭამ და ძალიან კარგად ვამზადებ. ბიჭები ჩემთან ყოფილან და უჭამიათ. კამპანიები მიყვარს. მარტო სახლში ჯდომა მოსაწყენია.

– მაინც რომელ კერძს ამზადებთ?

– ჩემი საყვარელი კერძი „ჩახოხბილია“, რომელიც მთელ გუნდს მოსწონს. ყველა ითხოვს – გოგა, „ჩახოხბილი“ როდის იქნება? ერთია, მის მომზადებას ძალიან დიდი დრო უნდა.

– რადგან მომზადება გიყვართ, იქნებ, ერთხელ თავი მზარეულად მოგესინჯათ?

– არა, არა. სხვათა შორის, კერძების მომზადება ცოლმა მასწავლა. ვერ ვიტყვი, რომ ეს საქმე ძალიან მომწონს, მაგრამ ფეხბურთელი ვარ და კარგი კვება აუცილებელია.

– ხაბაროვსკში ყოფილხართ რესტორანში, სადაც ქართულ კერძებს ამზადებენ?

– აქ ასეთი რესტორანი არ არის.

– 2011 წლის 27 მარტს ევრო-2012-ს შესარჩევ ციკლში, ხორვატიასთან ჩატარებული მატჩის მეორე დღეს, თქვენ და საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას შორის კონფლიქტი მოხდა. მაინც რაში იყო საქმე, რადგან ამის შემდეგ ნაკრებში ადგილი დაკარგეთ?

– განსახილველიც არაფერია. მთელმა საქართველომ იცის, რა მოხდა. ნაკრებში ყოველთვის ვთამაშობდი, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ვიდრე იქ ამჟამინდელი მწვრთნელი მუშაობს, არა მგონია, გუნდში დავბრუნდე. ფეხბურთის პირად ურთიერთობასთან არევა არ შეიძლება. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ნაკრებში გამოძახება დიდი მოვლენაა და მეც ამისკენ მივისწრაფვი. ჯერ მხოლოდ 30 წლის ვარ და ნაკრებში თამაშს კიდევ ვაპირებ. ეროვნული გუნდის გამოსვლას თვალს ვადევნებ. ნაკრების თამაშების დროს არის სიტუაციები, როდესაც შენს თავს სხვა ფეხბურთელის ადგილზე წარმოიდგენ და ფიქრობ, რომ მათზე ნაკლები არ ხარ.

– პრემიერლიგაში დაბრუნება გინდათ?

– რატომაც არა? ვიცი, რომ ეს შემიძლია და ადრინდელივით ვითამაშებ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფეხბურთის თამაშს ახლა ვიწყებ. როდესაც 21-22 წლის ვიყავი, მსურდა მოედანზე გასულს არა გუნდისთვის მეთამაშა, არამედ, საკუთარი თავი წარმომეჩინა. ახლა ამ პერიოდმა განვლო და ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გუნდის შედეგია. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ძალიან საწყენია, როდესაც ხაბაროვსკში ფეხბურთს მცირე ყურადღებას აქცევენ. არადა, კარგი გუნდია. სად არის ხალხი, გულშემატკივრები?

– რუსეთის პირველი დივიზიონსა და პრემიერლიგას შორის რა პარალელს გაავლებდით?

– პირველ დივიზიონში უფრო მეტს დარბიან, მაგრამ ოსტატობა არ ჰყოფნით. ამიტომ ფეხბურთი ისეთი სანახაობრივი არაა, როგორც პრემიერლიგაში. ყველაფერი ერთად უნდა იყო: ფეხბურთელს სირბილიც უნდა შეეძლოს და ბურთთან მოპყრობაც. თუ ფეხბურთელი მხოლოდ დარბის, გამოდის რომ მორბენალია. ფეხბურთი ფეხბურთია და რაიმე სილამაზე თან უნდა ახლდეს. მწვრთნელი მოედანზე არ გამოვა და არ მიგითითებს სად უნდა გაიქცე. იმპროვიზაცია თავად უნდა შეგეძლოს. მწვრთნელს შეუძლია ტაქტიკურად რაღაც გიკარნახოს, პოზიცია შეგირჩიოს, ხოლო დანარჩენი თავად უნდა გააკეთო. ამიტომ ფეხბურთში ჭკუაა საჭირო.

– გუნდი სტადიონ „იუნოსტზე“ თამაშობს, სადაც გულშემატკივრებისთვის ცოტა ადგილია და ამიტომ ტრიბუნები ყოველთვის შევსებულია. ეს პლუსია?

– უკეთესია ლენინის სახელობის სტადიონზე თამაში, რადგან ხელოვნური მოედანი მაინც არაა. „იუნოსტზე“ კარგად ისმის გულშემატკივრები რას ყვირიან. ხაბაროვსკში ფეხბურთი განსავითარებელია. ფეხბურთი ბევრს უყვარს და დროა, ჩინოვნიკებმაც შეიყვარონ. როდესაც 2006 წელს ნალჩიკში ჩავედი, იქ ფეხბურთი უკვე უყვარდათ და სტადიონი ყოველთვის სავსე იყო. რომ შეადაროთ 2006 წელი და ახლანდელი დრო, ნალჩიკი ძალიან შეიცვალა. ძალიან სუფთა და კარგი ქალაქია, რადგან რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ფეხბურთის დონე ასწია. იქ, სადაც ფეხბურთია, ყველაფერი კარგადაა.

– „იუნოსტზე“ ისე ჩანს, რომ პარტნიორებს ძალიან ხმამაღლა, ემოციურად კარნახობთ.

– დიახ, ემოციური ვარ. მე ხომ ქართველი ვარ. ადრე უფრო ემოციური ვიყავი. ასე რომ, ახლა უფრო დავწყნარდი. ხმამაღლა იმიტომ ვკარნახობ, რომ გულშემატკივრები მოედანთან ახლოს სხედან და, შესაძლოა, პარტნიორმა რაიმე ვერ გაიგოს.

– თქვენი საყვარელი კლუბი რომელია?

– „ბარსელონა“ – მსოფლიოში ყველაზე ტექნიკური გუნდი.

– ამ კლუბში უხელფასოდ სათამაშოდ რომ მიეწვიეთ, დათანხმდებოდით?

– რა თქმა უნდა, დავთანხმდებოდი. ეს ხომ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა.

– თქვენი საყვარელი ფეხბურთელი ვინ არის?

– ლიონელ მესი.

– თქვენს კარიერაში იყო მომენტი, როდესაც ევროპაში თამაშის შანსი გქონდათ – შოტლანდიური „ჰართსი“ გეპატიჟებოდათ.

– მაშინ ამ გუნდს ვალდას ივანაუსკასი წვრთნიდა. უბრალოდ, სამუშაო ვიზა არ მომცეს. ამის შემდეგ, „სატურნში“ დავბრუნდი, სადაც ერთი სეზონი ჩავატარე და მერე ნალჩიკის „სპარტაკმა“ შემიძინა. იმ პერიოდში ვალდასთან ერთად მუშაობა არ მომიწია, სამაგიეროდ, ახლა ვმუშაობ. ბედმა მაინც შეგვახვედრა.

– სათამაშო ფორმას რამდენ ხანში იცვამთ?

– შვიდი წუთი მაინც მჭირდება. ჯარში ხომ არ ვარ. იქ ასანთს აანთებენ და, სანამ ჩაქრება, ფორმა უნდა ჩაიცვა.

– თვალდახუჭული ბურთს კარში მოახვედრებთ?

– გააჩნია, საიდან დავარტყამ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ანდრო ჭიაურელი ექვთიმე ღვთისკაცზე ფილმს გადაიღებს

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი ანდრო ჭიაურელი ექვთიმე თაყაიშვილზე ფილს გადაიღებს. მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსი გამოაცხადა „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის შექმნასთან დაკავშირებით. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმის წარმოების დაფინანსება. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საექსპერტო კომისიაში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა ყოფილიყო პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება განისაზღვრება როგორც პროდუსერის საგანაცხადო ვალდებულება. კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი არის სახელმწიფო დაკვეთა და კინოცენტრის მიერ დაფინანსდება სრულად ფილმის ბიუჯეტის 100%-ით. საკონკურსო ფონდი შეადგენს 100.000 ლარს. ეროვნული კინოცენტრი კომისიის რეკომენდაციით დააფინანსებს ერთ პროექტს. „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის ხანგრძლივობა უნდა იყოს 60-90 წუთამდე. კონკურსი ჩატარდა ორ ტურად. პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და შეაფასეს დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე. კომისიამ განსაზღვრა იმ მინიმალურ ქულათა ოდენობა, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად. მეორე ტურში გადავიდნენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს. პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში კონკურსს გამოეთიშნენ. მეორე ტურში იგულისხმობოდა პროექტის პრეზენტაცია კომისიის წევრების წინაშე. მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრებმა შეაფასეს პროექტის პრეზენტაცია და დაწერეს შესაბამისი ქულა. კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგინა კინოცენტრს რეკომენდაცია გამარჯვებული პროექტ(ებ)ის შესახებ.

როგორც ეროვნულ კინოცენტრში განმარტეს, კონკურსში მონაწილეობის მსურველი პროდიუსერები ვალდებულნი იყვნენ პირველ რიგში მოეპოვებინათ ეროვნული ფილმის ცნობა და მხოლოდ შემდეგ შეეტანათ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. პროდიუსერს ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად კინოცენტრში უნდა წარედგინა: განცხადება ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად (კინოცენტრის მიერ დადგენილი ფორმით); იურიდიული პირებისათვის წესდების ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან; ფიზიკური პირისთვის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა; ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ; ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას; ფილმის „თრეიმენტი“ (მოცემული ამბის მოკლე აღწერა); ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული. განაცხადი, რომელიც არ შეიცავდა ეროვნული ფილმის ცნობას „ექვთიმე თაყაიშვილის ცხივრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსში არ იქნა განხილული. პროექტების შეტანის ვადა 9 სექტემბერს ამოიწურა. განმარტებული იქნა ისიც, რომ კონკურსში მონაწილე პროდიუსერს მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენის უფლება ჰქონდა. ეროვნულმა კინოცენტრმა არ მიიღო იმ პროდიუსერთა პროექტები, რომელთა ავტორებმა (პროდიუსერი და რეჟისორი) ვერ შეასრულეს ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება. აქვე დაზუსტდა, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე პროექტი მონაწილეობდეს კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ ერთდროულად მიმდინარე სხვადასხვა კონკურსებში. ეროვნულმა კინოცენტრმა კონკურსიის მონაწილეებს მომართა თხოვნით, დაეცვათ ეთიკის ნორმები საექსპერტო კომისიის წევრებისა და კინოცენტრის თანამშრომლების მიმართ და პატივი ეცათ ჟიურის გადაწყვეტილებისთვის. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად კი სავალდებულო გახდა კონსულტაციების გავლა, რომელიც ეროვნულ კინოცენტრში ჩატარდა.

„ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის დაფინანსების კონკურსში შევიდა 5 პროექტიდან, მეორე ტურში კი გადავიდა ორი პროექტი შპს „დოკ/ფილმების სტუდია მემატიანე“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი „შენ დაბრუნდები დედაო“, რეჟისორი და სცენარის ავტორი ირაკლი პაპავა 32 ქულით და შპს „ჭიაურელი ბრაზერს არტ სტუდიო“-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი „ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა“, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი, სცენარის ავტორი ნინო ნატროშვილი ასევე 32 ქულით. საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილებით მეორე ტურში გადავიდა ყველა ის პროექტი ვინც დააგროვა 30 ქულა და მეტი. საბოლოოდ კი გამოვლინდა ეროვნული კინოცენტრის მიერ 2013 წელს „ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან დოკუმენტურ-მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული. კონკურსის მეორე ტურში მონაწილე 2 პროექტს შორის ქულები ასე განაწილდა. „შენ დაბრუნდები დედაო“ 62 ქულა და „ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა“ 67 ქულა. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დაფინანსება – 99.926 ლარი საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით პირველ ადგილზე გასულმა პროექტმა მიიღო.

რაც შეეხება საექსპერტო კომისიას, მისი წევრები იყვნენ ბუბა კუდავა (ისტორიკოსი), გოჩა საითიძე (ისტორიკოსი), მზია სურგულაძე (ისტორიკოსი), გია ჭუბაბრია (დამდგმელი რეჟისორი), ლანა ღოღობერიძე (დამდგმელი რეჟისორი), მარინა კერესელიძე (კინომცოდნე), დავით ჩუბინიშვილი (დამდგმელი რეჟისორი), ირაკლი მახარაძე (დამდგმელი რეჟისორი).

ექვთიმე თაყაიშვილის იუბილეოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღიხაურში ექვთიმე ღვთისკაცის სახლ-მუზეუმშიც აღინიშნა. იგი წმინდანად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა შერაცხა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში ჩატარდა საზოგადო მოღვაწის ძეგლის შემკობა და სულის მოსახენიებელი პარაკლისის გადახდა, ასევე, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში ჩატარდა საზეიმო მიღება და კონცერტი ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მწერალთა კავშირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმისა და ფოთის ადგილობრივი ხელისუფლება, გურიის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლება და შემოქმედის ეპარქია.

ნიკოლოზ ცისკარიძე ვაგანოვის რუსული ბალეტის აკადემიის რექტორია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნიკოლოზ ცისკარიძეს დიდ თეატრში გამოსამშვიდობებელი პარტიის შესრულების ნება დართეს, თუმცა – მხოლოდ ერთჯერადად. მოცეკვავეს უფლება მიეცა, მონაწილეობა მიეღო საახალწლო წარმოდგენაში, რომელიც, ტრადიციულად, იმართება დიდ თეატრში და ეს ჩაიკოვსკის „მაკნატუნაა“.

ნიკოლოზ ცისკარიძე უკვე შეხვდა რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრ ვლადიმერ მედინსკის და სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ქართველი ბალერონი მაყურებელთან გამომშვიდობებას შეძლებს. შესაბამისი ბრძანება სამინისტროსაგან უკვე მიღებული აქვს თეატრის დირექტორ ვლადიმერ ურინს.

რუსეთის კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ ცისკარიძესთან დახურულ შეხვედრაზე ისაუბრა. როგორც რუსული გამოცემები წერენ, ვლადიმირ მედინსკი განმარტავს, რომ არ უნდა მიენიჭოს დიდი მნიშვნელობა მის შეხვედრას რუსეთის სახალხო არტისტ ნიკოლოზ ცისკარიძესთან.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მედინსკი ცისკარიძეს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. უწყების ინფორმაციით, საუბარი ეხებოდა, დიდ თეატრსა და რუსულ ბალეტში შექმნილ მდგომარეობას.

– მე ყოველდღიურად ვხვდები კულტურის მოღვაწეებს. ჩვენ ვისაუბრეთ თეატრზე, ბალეტზე. ამავე პერიოდში შევხვდი გოვორუხინსა და კობზონს, ამიტომ არ უნდა მივანიჭოთ ამას დიდი მნიშვნელობა, – განუცხადა რუსეთის კულტურის მინისტრმა „რია ნოვოსტის“.

საბავშვო ევროვიზიისთვის კლიპი გადაღებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლის აწყობა ბავშვების საყვარელი სათამაშოა, ის კრეატიულობას მოითხოვს, სადაც ცალკეული ნაწილების შეერთებით მიიღება ერთი მთლიანი, ეს კი ევროფესტივალების, ევროპის მთლიანობის იდეას უკავშირდება. უკრაინის მაუწყებელმა სცენის დიზაინიც წარმოადგინა. კონცეფცია წლევანდელი კონკურსის ლოგოს და სლოგანს ეფუძნება.

მასპინძელმა უკრაინის მაუწყებელმა წამყვანების ვინაობა გაახმოვანა. წელს საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს ზლატა ოგნევიჩი და ტიმურ მიროშნიჩენკო გაუძღვებიან. ზლატა ოგნევიჩი ევროვიზიის სიმღერის კონკურსის მონაწილეა, მან მალმოს არენაზე შვედეთში მესამე ადგილი დაიმსახურა. ევროვიზიის გულშემატკივრისთვის ნაცნობია ტიმურ მიროშნიჩენკოც. ის გასული წლების ევროფესტივალების წამყვანი და კომენტატორი იყო. უკრაინის მაუწყებელმა საბავშვო ევროფესტივალის სიმღერის კონკურსის სახეებიც გამოავლინა – ანდრია ბოიკო და ლიზა კოსტიაკინა. ბავშვები უკრაინის მაუწყებელმა შესარჩევი კონკურსის შედეგად შეარჩია. სახეები მე-11 საბავშვო ევროფესტივალის გახსნის ცერემონიალზე და სხვადასხვა ღონისძიებებზე მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს გარდა, კონკურსში მონაწილე თითქმის უკვე ყველა ქვეყანაში კონკურსანტთა ვინაიობა ცნობილია. რუსეთს დაიანა კირილოვა წარადგენს. 11 წლის მომღერალმა 18 კონკურსანტს შორის ჟიურისა და მაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად გაიმარჯვა. დაიანა საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის შიდაშესარჩევ ტურში შარშანაც მონაწილეობდა, თუმცა კონკურსის გამარჯვებული ლერიკა გახდა. შვედეთის რჩეულია ელიას ელფორში. 13 წლის მომღერალი სტოკჰოლმში ცხოვრობს და თავს ყველა სტილის მოცეკვავედ და მომღერლად მიიჩნევს. უყვარს ფორტეპიანოზე დაკვრა და ცეკვა. წელს უკრაინის წარმომადგენელია სოფია ტარასოვა. 12 წლის მომღერალმა უკრაინის შიდაშესარჩევ ტურში 20 კონკურსანტს შორის ჟიურისა და მაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილებთ გაიმარჯვა. სოფია კიევში ცხოვრობს და ხელოვნების აკადემიაში ცეკვას, სიმღერას და ხატვას სწავლობს. გოგონა რამდენიმე მიუზიკლში და საბავშვო მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობდა. ის ფორტეპიანოსა და ვოკალის გაკვეთილების პარალელურად სპორტით არის დაკავებული. უყვარს თხილამურები და ფიგურული სრიალი. სოფია ევროვიზიის გასული წლების მონაწილეებიდან გამოარჩევს ზლატა ოგნევიჩს და რობინ სტეინბერგს. გოგონა უკრაინის შიდაშესარჩევ კონკურსში შარშანაც მონაწილეობდა, თუმცა გამარჯვება ანასტასია პეტრიკმა დაიმსახურა და ქვეყანას საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებულის ტიტული მოუტანა. მალტის კონკურსანტი გაია კაუჩია. 11 წლის გოგონამ სიმღერა 2-3 წლის ასაკიდან დაიწყო. ის რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეა, მათ შორის იტალიის პრესტიჟული სანრემოს ახალგაზრდული ფესტივალის. სომხეთის კონკურსანტია მონიკა ავანესიანი. გოგონამ 12 კონკურსანტს შორის მაყურებლისა და ჟიურის ერთობლივი გადაწყვეტილებით სომხეთის ნაციონალურ ფინალში გაიმარჯვა. სომხეთი საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული 2010 წელს გახდა. გასულ წელს, რიგით მეათე საბავშვო ევროფესტივალზე სომხეთის წარმომადგენელი მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ჰოლანდიის კონკურსანტები ტყუპები მილენა და როსანა არიან. დებმა ჰოლანდიის ნაციონალურ ფინალში ხუთ კონკურსანტს შორის გაიმარჯვეს, მანამდე კი რთული ნახევარფინალების გადალახვა მოუხდათ. ილია ვოლკოვი ბელორუსის რჩეულია. მან ნაციონალურ ფინალზე 10 კონკურსანტს შორის ჟირუისა და ტელემაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილების შედეგად გაიმარჯვა. ილია 13 წლისაა და 6 წლის ასაკიდან მღერის. მისი საყვარელი მომღერლებია მაიკლ ჯექსონი, ვიტნი ჰოუსტონი და დიმა ბილანი. წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაზე მოლდოვას კონკურსანტია რაფაელ ბობეიკა, მაკედონიის რჩეული კი ბარბარა პოპოვიჩია. 13 წლის ბარბარა მუსიკალურ სასწავლებელში ფორტეპიანოზე დაკვრასაც ეუფლება. ის არაერთი კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულია. თანამშრომლობს ცნობილ მუსიკოსებთან და მღერის ბავშვთა გუნდში. წელს კონკურსზე სან მარინოს წარადგენს იტალიელი მომღერალი მიშელ პერნიოლა, შესაბამისად საკონკურსო სიმღერაც იტალიურ ენაზე შესრულდება. მიშელ პერნიოლა სან მარინოსა და იტალიის მაყურებლისთვის კარგად ნაცნობი სახეა. საბავშვო ევროვიზიის კონკურსში სან მარინო წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ქვეყანა დიდების ევროფესტივალზე 2008 წლიდან მონაწილეობს.

2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს უკრაინის მაუწყებელი 30 ნოემბერს, შაბათს, კიევში უმასპინძლებს. უკრაინამ საბავშვო ევროვიზიის კონკურსს 2009 წელსაც უმასპინძლა. კონკურსში წელს 12 ქვეყანა მონაწილეობს.

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. აეროპორტი მილანში; 2. ოჩამჩირეს ძველბერძნული სახელწოდება; 3. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 4. უმაღლესი ტექნიკური განათლების სპეციალისტი; 8. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 9. მორალური ხასიათის აზრი, გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება; 11. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 12. არომატული, მატონიზირებელი სასმელი; 14. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 16. ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას; 17. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 19. ციური სხეული, კუდიანი ვარსკვლავი; 21. აფრიკული ცხოველი.

თარაზულად: 5. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 6. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 7. საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია; 10. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 13. ზარმაცი, უსაქმური ადამიანი; 15. გუტაპერჩის შემცველი, სწრაფად მზარდი ჩინური ხე; 18. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 20. კინოსა და თეატრის ცნობილი ინგლისელი მსახიობი მამაკაცი; 22. ესთეტიკური განცდის უნარი, სილამაზის, მშვენიერების გრძნობა; 23. საგნის ან მოვლენის ძირითადი, არსებითი თვისება, დამახასიათებელი ნიშანი; 24. ბიჭის ან გოგონას როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სუში; 2. ფუქსი; 3. სმალტა; 5. პერიე; 6. ბარტოლდი; 8. გრენლანდია; 10. ევკომია; 12. ნეიმარი; 14. უზანგი; 15. თეზისი; 16. ბრასი.

თარაზულად: 1. სტროფი; 4. აპლომბი; 7. მიქავა; 9. ჩოხელი; 11. მეეზოვე; 12. ნორლანდი; 13. პორტიე; 17. რუზინე; 18. იდეა; 19. კრიმინალი; 20. ტარიბანა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ტეკილა; 2. ბონდერი; 3. ფიტომალი; 4. სკორსეზე; 8. კოლექტორი; 9. სკაგერაკი; 11. ცემენტი; 12. შუნი; 14. დილა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

თარაზული: 5. სინოპეკი; 6. ინსბრუკი; 7. ველასკესი; 10. იადონი; 13. კვანზა; 15. ინჟენიუ; 18. ტაბორი; 20. დეკანი; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

ქარიშხალ „წმინდა იუდას“ შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა

სულ მცირე რვა ადამიანი დაიღუპა გერმანიაში, ქარიშხალ „წმინდა იუდას“ შედეგად. ამის შესახებ „ალ ჯაზირა“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, სტიქიის გამო გადაიდო ფრენები დიუსელდორფიდან ჰამბურგის მიმართულებით.

„წმინდა იუდას“ მსხვერპლი მოჰყვა დიდ ბრიტანეთში, დანიასა და ნიდერლანდებშიც. ამ დროისთვის ჩრდილოეთ ევროპაში სტიქიის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 13 აღწევს. მათი უმეტესობა მოტეხილი ხეების დაცემის შედეგად დაიღუპა.

როგორც „გარდიანი“ იტყობინება, 17 წლის გოგონა დაიღუპა კენტის საგრაფოში, ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთში მას შემდეგ, რაც ფურგონს, რომლითაც ის მგზავრობდა, ხე დაეცა. შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა მიი გადარჩენა ვერ შეძლეს.

სტიქიის კიდევ ერთი მსხვერპლი 50 წლის მამაკაცი გახდა უოტფორდის გარეუბანში. ავტომობილს, რომელშიც ის იმყოფებოდა, ასევე მოტეხილი ხე დაეცა.

დაღუპულად მიაჩნიათ 14 წლის ბიჭი, რომელიც მეგობრებთან ერთად ზღვასთან თამაშობდა. ის, სავარაუდოდ, ტალღამ ჩაითრია. სამძებრო ოპერაცია უშედეგო აღმოჩნდა. დიდი ბრიტანეთში ქარის ძლიერმა ნაკადმა (რეკორდი დაფიქსირდა კუნძულ უაიტზე – 44 მეტრი წამში), ელექტროსადენების გაწყვეტა გამოიწვია, შედეგად 600 ათასი ახლი განათების გარეშე დარჩა.

ლონდონში მეტრო დიდი ეფერხებებით მუშაობს, სარკინიგზო მიმოსვლა ბევრ მარრუტზე შეჩერებულია. ბევრგან იქმნება საცობები წაქცეული ხეებისა და დატბორვის გამო.

მეტეოროლოგების განცხადებით, ქარის სიჩქარე საათში 160 კილომეტრია. სპეციალისტთა თქმით, დიდი ბრიტანეთსა და საფრანგეთს მსგავსი სიმძლავრის ქარიშხალი ბოლოს 1987 წელს დაატყდა, რის შედეგადაც 22 ადამიანი დაიღუპა.

ქარიშხალს „წმინდა იუდას“ სახელი ერთ-ერთი ბრიტანელი მოციქულის საპატივსაცემოდ ეწოდა, რომლის ხსენების დღესაც კათოლიკური ეკლესია 28 ოქტომბერს აღნიშნავს.

„საჭიროა გადაიხედოს ქვეყნის სადაზვერვო მონაცემების მოპოვების მეთოდები“

აშშ-ის სენატის უშიშროების კომიტეტის განცხადებით, საჭიროა გადაიხედოს ქვეყნის სადაზვერვო მონაცემების მოპოვების მეთოდები. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. კომიტეტის ხელმძღვანელის, დაიან ფეინშტაინის განცხადებით, მეგობარი ქვეყნების ლიდერების მოსმენა შეცდომა იყო.

მისივე თქმით, როგორც თეთრმა სახლმა განაცხადა ასეთი ტიპის თვალთვალი უნდა შეწყდეს.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას პრეს მდივნის, ჯეი კარნის განცხადებით, აშშ-ის ადმინისტრაცია ეთანხმება დამატებითი შეზღუდვების დაწესებას სადაზვერვო მონაცემების მოპოვებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

„ინფორმაციის მოპოვება არა მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ ვალდებულები ვართ ასე მოვიქცეთ, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება“, – განაცხადა ჯეი კარნიმ.

„ბიბისის“ ცნობით, აშშ-ის ადმინისტრაცია კვლავ უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ევროპელი ლიდერების მოსმენის თაობაზე.

გერმანულ, ბრიტანულ და ფრანგულ მედიაში გასული კვირიდან მოყოლებული ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო ევროპის 35 ლიდერს უსმენდა, მათ შორის 10 წლის განმავლობაში გერმანიის კანცლერს, ანგელა მერკელს.

ამ ფონზე, ესპანეთის მთავრობამ ამერიკის ელჩი ბრალდებაზე ახსნა-განმარტების მისაცემად მიიწვია, რომლის თანახმადაც ამერიკა ესპანეთში თვეში 60 მილიონ სატელეფონო ზარს უსმენდა. ეს ინფორმაცია ესპანურ გაზეთ „ელ მუნდოში“ გავრცელდა. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურები სატელეფონო ნომრებსა და ზარების ხანგრძლივობას აფიქსირებდნენ და არა მათ შინაარსს.

ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთის ინფორმაციით, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხუთი წლის განმავლობაში არ იცოდა, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახურები მსოფლიო ლიდერების სატელეფონო ზარებს უსმენდნენ, მათ შორის, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ტელეფონსაც.

გაზეთი „უოლ სტრიტ ჯორნალის“ ანონიმური წყარო იუწყება, რომ პრეზიდენტმა ობამამ სათვალთვალო პროგრამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც რამდენიმე თვის წინ შიდა გამოძიების ჩატარება მოითხოვა.

გაზეთი აცხადებს, რომ ამერიკის სადაზვერვო სააგენტოები მსოფლიოს 35 ლიდერს სისტემატურად უსმენდნენ და თვალთვალის პროგრამა მხოლოდ მას შემდეგ დასრულდა, რაც ობამამ ამის შესახებ შეიტყო.

ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ სავარაუდოდ განხორციელებულმა თვალთვალის მასშტაბებმა და წვდომამ ევროპელი ლიდერები აღაშფოთა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ამას „მიუღებელი“ უწოდა. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, რომლის მობილური ტელეფონიც სავარაუდოდ შეერთებული შტატების მიერ ისმინებოდა, თქვა, რომ მას ძალიან შეერყა ნდობა, – აცხადებს „ამერიკის ხმა“.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა მარტინ შულცმა ამას ყოვლად დაუჯერებელი რამ უწოდა.

მარტინ შულცი: „მე კითხვა დავუსვი ამერიკელ ოფიციალურ პირებს, იყო თუ არა ეს სიმართლე. მათ მიპასუხეს, რომ ეს ალბათ ანტი-ტერორისტულ ზომებთან იყო დაკავშირებული... მე შემიძლია გარანტია მივცე, რომ ევროპარლამენტი არ გეგმავს ტერორისტულ თავდასხმებს შეერთებულ შტატებზე“.

იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები ვერ დაამტკიცებენ ამ ბრალდებების უსაფუძვლობას, შულცი რეკომენდაციას იძლევა შეჩერდეს მოლაპარაკებები ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივ შეთანხმებაზე. ევროპელმა ლიდერებმა შეარბილეს ეს შენიშვნები.

სავაჭრო ურთიერთობების ექპერტი ტრანსატლანტიკური აკადემიიდან, სტივენ ჟაბო ამბობს, რომ სავარაუდო ჯაშუშობა ართულებს მიმდინარე მოლაპარაკებებს.

სტივენ ჟაბო: „მე ვფიქრობ, რომ მონაცემთა საიდუმლოების დაცვის მთელი საკითხი, რასაც ფრანგული მხარე ასე აქტიურად უჭერდა მხარს, ბევრად უფრო მძიმე საკითხად იქცევა. გერმანული მხარე უფრო იყო განწყობილი მიეღო შეთანხმება მონაცემთა საიდუმლოების დაცვაზე და ვფიქრობ ეს ბევრად უფრო გაძნელდება“.

ამერიკელი ოფიციალური პირები დაჟინებით მოითხოვენ სავაჭრო მოლაპარაკებების და თვალთვალის შესახებ მოლაპარაკებების განცალკევებას. ჟაბო ამბობს, რომ ამ დავის გამო ევროპული კომპანიები უფრო მომგებიან პოზიციაზე აღმოჩნდებიან. სტივენ ჟაბო: „ეს ცუდია ამერიკული კომპანიებისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიებისთვის, როგორებიცაა „გუგლი“, „ეფლი“ და ა.შ. იმიტომ, რომ ახლა ევროპულ, გერმანულ ფირმებს შეუძლიათ თქვან: „ჩვენთან იქონიეთ საქმე, იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ თქვენი ინფორმაცია.“ ასე, რომ ეს ზიანს მიაყენებს ამერიკულ კომპანიებს, მათ ეს მილიარდობით დოლარი დაუჯდებათ“.

ექსპერტები ამბობენ, რომ ტრანს-ატლანტიკური სავაჭრო ხელშეკრულება, შესაძლოა ისტორიაში უმსხვილესი ორმხრივი სავაჭრო გარიგება აღმოჩნდეს, რომელიც მოიცავს მთელი მსოფლიო ეკონომიკური პროდუქტის ნახევარს და მსოფლიო ვაჭრობის თითქმის 30 პროცენტს, – წერს „ამერიკის ხმა“.

რობერტ სტურუა: „ბელადები არ გვჭირდება“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რულე მამა და მეუღლე.

თემურ ნინუა სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. მთელი ცხოვრება თან სდევდა ტკივილი – აღარ შეეძლო მშობლიურ ქალაქში ჩასვლა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ დიდი წარმატებით მოღვაწეობდა ქართულ თეატრში. 30 წელია იგი რუსთაველის თეატრის დამდგმელი მხატვარია. 1979 წელს თეატრალურ მხატვართა პრაღის საერთაშორისო კვადრენალიზე საუკეთესო ნამუშევრისათვის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. რამდენჯერმე მიენიჭა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია – წლის საუკეთესო მხატვარი. იგი აფხაზეთის დამსახურებული მხატვარი გახლდათ, მიღებული აქვს პრემია „დურუჯი“ და პეტრე ოცხელის პრემია.

ბატონ თემურს გაფორმებული აქვს სპექტაკლები თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ბრატისლავისა და ვილნიუსის თეატრებში. რუსთაველის თეატრში მის მიერ გაფორმებულ სპექტაკლთაგან აღსანიშნავია: „დაკრძალვა კალიფორნიაში“, „რომაული კომედია“, „ას ერგასის დღე“, „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამაღამ, მგონი, იქნება ქარი“, „ლეონსი და ლენა“, „ჰამლეტი“, „მუსუსი“, „პალატა 16“, „სტიქსი“, „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“, „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“, „ნადირობის სეზონი“. მას ავადმყოფობის პერიოდშიც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა და ბოლო დღეებამდე მუშაობდა ვაჟდი მუავადას პიესაზე „ხანძარი“.

თემურ ნინუას მხიარული ფერები უყვარდა – წითელი, ულტრამარინი, ოხრა... უფრო კარგად ფარსი და ტრაგიფარსი გამოსდიოდა. უყვარდა ზღაპარი, ფანტასტიკური სიცრუე, გამომგონებლობა, გათამაშება და ჩვეულებრივი საგნები მის ხელში უჩვეულო სახეს იძენდნენ.

26 ოქტომბერს რუსთაველის თეატრი დიდი გულისტკივილით გამოემშვიდობა თემურ ნინუას. ბატონო თემურ, თქვენ თან გაგყვებათ ჩვენი ცრემლი და სიყვარული. მადლობას გიხდით სითბოსთვის, სიყვარულისთვის, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში, – წერია მაესტროს „ფეისბუქის“ გვერდზე.

ამავე დროს, ცნობილი ხდება, რომ, ასეთი სამწუხარო ამბის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდება და რუსთაველის თეატრს სანკტ-პეტერბურგის ბორის ეიფმანის სახელობის საბალეტო დასი 2013 წლის სპექტაკლით ესტუმრება. ,,ცოდვის მიღმა“ – ასეთია წარმოდგენის სახელწოდება, რომელიც ფიოდორ დოსტოევსკის ,,ძმები კარამაზოვების“ მიხედვით არის დადგმული. სპექტაკლს მსახიობები ორი დღის განმავლობაში, 13 და 14 ნოემბერს წარმოადგენენ.

23 და 24 ნოემბერს გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი რუსთაველის თეატრში პრემიერას გამართავს. ქორეოგრაფიულ წარმოდგენას, რომელიც ჯანსულ კახიძის სიმღერებზეა აგებული, „ჰარირა“ ეწოდება. მუსიკალური ვერსიის ავტორი ვახტანგ კახიძეა, იდეის ავტორი და დამდგმელი ქორეოგრაფი – მარიამ ალექსიძე, დამდგმელი მხატვარი – გიორგი ალექსი-მესხიშვილი, ტექსტზე მუშაობდა დათა თავაძე, განათება გოჩა გიორგაძის, სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი ნიალა გოძიაშვილი, ქორეოგრაფის ასისტენტი ლანა მღებრიშვილი, რეჟისორის თანაშემწე ციცინო გვაზავა. სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ქეთევან ხიტირი, ლევან ხურცია, ასევე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის მსახიობები დავით ანანიაშვილი, თამთა ბახტაძე, ეკატერინე ლომინაძე, ლანა მღებრიშვილი, უილიამ პრატი, ეკატერინე სურმავა, სოფიო ფანცულია, შორენა ხაინდრავა და მიწვეული მსახიობები ნათია ბუნტური და ნატო კახიძე.

რობერტ სტურუა კიდევ ერთი ახალ სპექტაკლს აანონსებს, რომელსაც გიორგი ალექსი-მესხიშვილი შექსპირის მიხედვით დგამს, თუმცა ამჯერად მაესტრო მხოლოდ პლაკატს აქვეყნებს და არც პრემიერის თარიღსა და არც მასში მონაწილე მსახიობების ვინაობას არ აკონკრეტებს.

პუტინი იანუკოვიჩის ევროინტეგრაციიდან გადაბირებას ხუთ საათს ცდილობდა

მოსკოვი მცდელობას არ აკლებს დაარწმუნოს კიევი და მოელაპარაკოს საბაჟო კავშირში უკრაინის შესვლაზე. თუმცა, უკრაინულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა, – წერს უკრაინული მედია.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სოჭში, უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან შეხვედრისას, რომელიც 27 ოქტომბერს შედგა, კვლავ ეცადა უკრაინა დაეთანხმებინა არ მოეწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე.

პუტინისა და იანუკოვიჩის შეხვედრა, რომლის დეტალებიც მკაცრად გასაიდუმლოებულია, ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. იმავე დღის საღამოს, უკრაინისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინიტროების დელეგაციები, მინისტრების ლეონიდ კოჟარას და სერგეი ლავროვის მეთაურობით, როსტოვში შეხვდნენ. დიპლომატებმა ერთად ივახშმეს, რის შემდეგაც მთელი დღე ერთად გაატარეს. შეთანხმებებში დიდი გარღვევა არც მინისტრებს ჰქონიათ.

ამ ფონზე, კომპანია „გაზპრომის“ ხელმძღვანელის ალექსეი მილერის განცხადებით, უკრაინას ამ დრომდე არ გადაუხდია აგვისტოს თვის დავალიანება, რაც 882 მილიონ დოლარის შეადგენს.

მილერის თქმით, აგვისტოს თვეში მიწოდებული გაზის საფასური, დადებული კონტრაქტის მიხედვით, უკრაინას 1 ოქტომბრამდე შეეძლო გადაეხადა: „ოქტომბერი გადის და ჯერ კიდევ არ არის გადახდილი“,-აღნიშნავს მილერი.

მას ასევე აღნიშნა, რომ მოსკოვმა კიევს გაზი ფასდაკლებით მიაწოდა-5 მილიარდი კუბური მეტრი, ათას კუბურ მეტრზე 269 დოლარად მიყიდეს, რაც ნიშნავს რომ 1 მილიარდ დოლარზე მეტი ფასდაკლება გამოვიდა.

რუსული კომპანიის ხელმძღვანელმა უკრაინას ამ პრობლემის „სწრაფად“ მოგვარებისაკენ მოუწოდა.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები რექტორის, ამირან მექვაბიშვილის სახით იუწყებიან პროფესორის, კეთილშობილი პიროვნების

ცისანა გოგლიჩიძის

გარდაცვალებას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 30 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ვინეტუ - 2**" **17.00** დ/ფ თანამედროვე იარაღი" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.05** "მეხსიერება" **19.30** "ჩვენი ეზო" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **00.40** მხ/ფ "**სიამაყე და დიდება**" (კ.ფარელი)

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტიმ**" **11.25, 12.05** სერ. "**ციკი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ **14.40, 15.05** ღამის შოუ **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია **00.00** მხ/ფ "**შეშლილი სილამაზე**" (ჯ.ერნანდესი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.15** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" 2 სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **10.10** ჩვენი ფონდი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ "**ღვინის ჟურდეები**" **13.35** დოკ/ფ "ვასილ ამაშუკელი" **13.50** მხ/ფ "**ეხი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" 3 სერ. **14.45, 21.55** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**რაჭა-ჩემი სიყვარული**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "წმინდა დიდმოწამე დედოფალი შუშანიკი" **23.40** დოკ/ფ "ხაბაზები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" 3 სერ.

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"**. **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფო ზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6675	ევრო — 2,3028
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7024	100 რუსული რუბლი — 5,2417

ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი
ტომი 2 ..... შავი ვარდი

სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ:
09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

ვაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!

25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწვავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.

რობერტ სტურუა: „ბელადები არ გვჭირდება“

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას სოციალურ ქსელში აქვეყნებს. „ფეისბუქში“ ის თანამემამულეებს არაკებით ესაუბრება:

– ბაყაყები და მწვერვალი (არაკი)

ბაყაყებმა მწვერვალზე ასვლა გადაწყვიტეს. უმფროსი ბაყაყები, ხვლიკები, მინდვრის წრუწუნები, თევზებიც კი დასცინოდნენ „მთასმსვლელ“ კვაჭიჭებს – ვერ ახვალთო, ეს რა მოგვიდათ თავშიო?! დანიშნეს დღე, შეიკრიბა ცხოველთა სამყარო და სიცილ-კისკისით შესცქეროდნენ, როგორ ამაოდ ცდილობდნენ, ჩვენი გმირები მწვერვალზე აცოცვას. მაყურებლი სიცილით ეგებებოდა მთიდან ჩამოცვენილ საცოდავ ბაყაყებს: აკი გეუბნებოდით, ვერ ახვალთო, რა უნდა ბაყაყს ასეთ ლამაზ მწვერვალზეო. მოულოდნელად ერთმა ბაყაყმა მაინც შესძლო ასვლა. გაყუჩდა ხალხი, გაოცებას ვერ მალავდა. როგორ შესძელი ასვლაო, – ჰკითეს მხეცებმა. გმირი-ბაყაყი ჩუმად იყო, ყრუ აღმოჩნდა, ყურში არაფერი ესმოდა.

(რთულ პრობლემებს თუ შეეჯახე – გირჩევნია, დაყრუდე, თორემ სხვისი აზრი შეგიშლის და შესაძლოა, მინასაც კი დაენარცხო!), – წერს რეჟისორი.

რობერტ სტურუა ქართველ ხალხს იდეალიზმის გამოც აკრიტიკებს და მომავალს იმედის თვალით შესცქერის.

– იქნებ გვეშველოს... ჩაგვძირეს, მიწასთან გაგვასწორეს, ლაფში ამოსვარეს ქართველის სახელი, სული დაგვიკოდეს, ცხოვრება შეგვაძულეს, ნახევარმა საქართველომ ალბათ პირველად ისტორიაში სამშობლო დატოვა – ნახევარმა საქართველომ! უიმედობა, სიდუხჭირე, უწიგნურობა, უზნეობა – აი რა მოუტანეს არაკაცებმა ბედკრულ ქვეყანას... გვეშველება, გვეშველება, როგორც გვშველოდა საოცარი, ამოუკითხავი, ალბათ, ღმერთის მიერ ნაბოძები ჟინი სიცოცხლისა. პატიოსნების გენები კვლავ მაგრდებიან! ოღონდ საღი გონება შევაშველოთ ჩვენ გაბრუებულ იდეალიზმს, ოღონდ ფანატიზმს სამუდამოდ დავემშვიდობოთ – ჩვენ ველური ტომი არ გახლავართ – ბელადები არ გვჭირდება და არც ვითომ ქარიზმატიული ფლიდები! ადამიანი გვჭირდება, ადამიანი, თავისუფალი, ლაღი, თამამი, კაცთმოყვარე, განათლებული და ბედნიერი... გვეშველება, – სჯერა რეჟისორს.

მაესტროს უყურადღებოდ არც რუსთაველის თეატრის მხატვრის თემურ ნინუას გარდაცვალება დაუტოვებია:

– დიდი დანაკლისი განიცადა რუსთაველის თეატრმა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თემურ ნინუა, ხელოვანი, მხატვარი და, უბრალოდ, შესანიშნავი ადამიანი, არაჩვეულებრივი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, მოსიყვა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ნიკოლოზ ცისკარიძე ვაგანოვის რუსული ბალეტის აკადემიის რექტორია

ეკა ირემაშვილი

ქართველი ბალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე სანკტ-პეტერბურგის ვაგანოვის სახელობის რუსული ბალეტის აკადემიის რექტორად დაინიშნა. როგორც რუსული გამოცემა „რია ნოვოსტი“ იტყობინება, ეს ინფორმაცია რუსეთის კულტურის მინისტრის მოადგილე გრიგორ ივლიევმა გაავრცელა. ვაგანოვის სახელობის რუსული ბალეტის აკადემია მსოფლიოში ბალეტის ერთ-ერთი უძველესი სკოლაა. წელს ის იუბილარია და დაარსებიდან 275 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ამ თანამდებობაზე ნიკოლოზ ცისკარიძის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ამ უქმეებზე გამჟღავნდა, თუმცა მაშინ რუსეთის კულტურის სამინისტრომ ეს ინფორმაცია უარყო.

ქართველი ბალერონის კონტრანქტი დიდ თეატრთან წელს ზაფხულის დასაწყისში ამოიწურა. დიდი თეატრის მაშინდელმა დირექტორმა ანატოლი იკსანოვმა ნიკოლოზ ცისკარიძეს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. კონფლიქტი ნიკოლოზ ცისკარიძესა და რუსეთის დიდი თეატრის ხელმძღვანელს შორის მაშინ დაიწყო, როცა მოცეკვავემ თეატრის ხელმძღვანელობას არაერთი ბრალდება წაუყენა და თავის ინტერვიუებშიც ანატოლი ისკანოვის კრიტიკას არ ერიდებოდა. თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელ სერგეი ფილინზე თავდასხმის კომენტირებისას ნიკოლოზ ცისკარიძემ რამდენიმე სკანდალური განცხადება გააკეთა მასმედიის წარმომადგენლებთან. იგი ინტერვიუებში აღნიშნავდა, რომ დიდი თეატრის ხელმძღვანელობა უუნაროა და ვერ მართავს თეატრს, შესაბამისად, მზად იყო, თავად გამხდარიყო თეატრის ხელმძღვანელი. ასეთი განცხადებების გამო მოცეკვავემ მიიღო საყვედური პირად საქმეში და, შესაბამისად, დაისაჯა კიდეც – დიდი თეატრის რეპერტუარიდან მოიხსნა ყველა ის სპექტაკლი, რომელშიც ნიკოლოზ ცისკარიძე ცეკვავდა. თავის მხრივ, მოცეკვავემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, სადაც სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა. სასამართლომ მისი ორი სარჩელიდან მხოლოდ ერთი დააკმაყოფილა. ნიკოლოზ ცისკარიძის დიდი თეატრიდან გაშვება რუსეთის მოქალაქეებმა გააპროტესტეს. მათ რამდენჯერმე საპროტესტო აქცია გამართეს და მოცეკვავის თეატრში დაბრუნება მოითხოვეს, თუმცა უშედეგოდ. ამ მოვლენების შემდეგ ნიკოლოზ ცისკარიძემ ვლადიკავკაზში იცეკვა და ჩრდილოეთ ოსეთის სახალხო არტისტი გახდა.

ამჟამად ნიკოლოზ ცისკარიძე საქართველოშია, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის ჟიურიში ზის, კონკურსანტებს აფასებს და რჩევებსაც აძლევს. დიდი თეატრის გენდირექტორი ანატოლი იკსანოვი კი თანამდებობიდან გათავისუფლებულია. მის ადგილს მოსკოვის მუსიკალური თეატრის ხელმძღვანელი ვლადიმერ ურინი იკავებს. ანატოლი ისკანოვი დიდი თეატრის გენერალურ დირექტორად 2000 წლის პირველ სექტემბერს დაინიშნა. მისი 13-წლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში განხორციელდა დიდი თეატრის ისტორიული შენობის რეკონსტრუქცია. სექტემბრის ბოლოს დიდი თეატრის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ ურინმა ნიკოლოზ ცისკარიძეს სამი გამოსათხოვარი სპექტაკლით დიდი თეატრის სცენაზე გამოსვლა შესთავაზა, მაგრამ ცისკარიძემ უარი განაცხადა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

კანდიდატთა სია ცნობილია

2013 წლის „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტების სია ცნობილია. პრიზისთვის, რომელსაც ფიფა გამოცემა „ფრანს ფუტბოლთან“ ერთად გასცემს, 23 ფეხბურთელი იბრძოლებს. მათ შორის საუკეთესო მსოფლიოს ყველა ნაკრების კაპიტნებისა და მწვრთნელების, ასევე წამყვანი ევროპული სპორტული გამოცემების გამოკითხვის შედეგად დასახელდება.

კანდიდატებს შორის მოხვდნენ: გარეთ ბეილი (უელსი), ლუის სუარესი, ედისონ კავანი (ორივე ურუგვაი) რადამელ ფალკაო (კოლუმბია), ედენ აზარი (ბელგია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), ანდრეს ინიესტა, ჩავი (ესპანეთი), ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი, მესუთ იოზილი, ტომას მიულერი, მანუელ ნოიერი (ყველა გერმანია), რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი), ლიონელ მესი (არგენტინა), ტიაგო სილვა, ნეიმარი (ორივე ბრაზილია), ანდრეა პირლო (იტალია), ფრანკ რიბერი (საფრანგეთი), რობინ ვან პერსი, არიენ რობენი (ორივე ჰოლანდია), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), იაია ტურე (კოტ დივუარი).

იანვარშივე ფიფა 2013 წლის საუკეთესო მწვრთნელის ვინაობას დაასახელებს, იქამდე კი, 10 პრედენტენტის სახელია ცნობილი. ფიფას ოფიციალური საიტის ცნობით, წლის საუკეთესო სპეციალისტის ტიტულისთვის იბრძოლებენ:

კარლო ანჩელოტი (პსჟ, რეალი), რაფაელ ბენიტესი (ჩელსი, ნაპოლი), ანტონიო კონტე (იუვენტუსი), ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთის ეროვნული ნაკრები), ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი მწვრთნელი), იუპ ჰაინკესი (ბაიერნის ყოფილი მწვრთნელი), ჟოზე მოურინიო (რეალი, ჩელსი), იურგენ კლოპი (დორტმუნდი), ლუიშ ფელიპე სკოლარი (ბრაზილიის ეროვნული ნაკრები), არსენ ვენგერი (არსენალი).

დეკემბერში 10 კანდიდატიდან მხოლოდ 3 დარჩება.

მ. ჟ.

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. სპორტის სათამაშო სახეობა; 3. ნარკოტიკული ნივთიერება; 5. საააღგომო ნამცხვარი; 6. ნიგვზისა და ბადაგისგან მომზადებული ნუგბარი; 8. თბილი დინება ატლანტიკის ოკეანეში; 10. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. აეროპორტი ბელგრადში; 14. დანიელი არქიტექტორი, სიდნეის ოპერის თეატრის პროექტის ავტორი; 15. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში.

თარაზულად: 1. ნაყვავილარი სახის მქონე მამაკაცი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. პოსტიმპრესიონისტი ფრანგი მხატვარი; 9. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 17. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 18. პენიტენციალური დაწესებულება; 19. სპორტის ზამთრის სახეობა; 20. ტერიტორიული ერთეული თურქეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ასტროპროგნოზი

30 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – არ გადაიღალოთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – ფულის პრობლემა არ გაქვთ, საქმე კარგად არის. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში ხართ, გაკონტროლებენ. **ღრიანკალი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **თხის რქა** – თქვენი პარტნიორი სიურპრიზს გიმზადებთ. **მეწყალი** – ნურავის ენდობით, საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **თევზები** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ.

გისუსტვებთ ბედნიერ დღეს!